გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

# აჭარა

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№79 (24.959) ხუთშაბათი, 28 - 29 ივლისი, 2022 წ. 50 თეთრი

### გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო დაშიდამთიან რაიონებში - 23-28, მაღალ მთაში - 13-18 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 24 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსა N იუსი

ყაზახეთში ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ყაზახეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ალიხან სმაილოვთან ორი ქვეყნის ურთიერთობებზე იმსჯელა. საუბარი შეეხო ტურიზმის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის და სავაჭრო მიმართულებებს. მხარეებმა არსებული თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების და გაფართოების მზაობა გამოთქვეს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვის გაზრდისთვის ყველა შესაძლებლობა უნდა იყოს გამოყენებული.

* * *

ოპოზიციამ შექმნა ერთგვარი „ტექნიკური პარლამენტი“, ჯერ უნდოდათ „ტექნიკური მთავრობა“, ახლა შექმნეს „ტექნიკური პარლამენტი“, - ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა. „როდესაც ეს პოლიტიკური ძალები ერთი მხრივ საუბრობენ 12 პუნქტის შესრულებაზე და მეორე მხრივ ევროკომისიის დოკუმენტის პირველივე პუნქტს უხეშად არღვევენ, პროცესები მიჰყავთ პოლარიზაციისკენ და ცდილობენ ამის გაკეთებას, ეს თავისთავად მეტყველებს მათ განზრახვაზე, საქართველომ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი და ისინი მაქსიმუმს გააკეთებენ ამისთვის. ჩვენი დღის წესრიგი და ამოცანა რადიკალურად განსხვავებულია“, - აღნიშნა მან.

* * *

საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, „ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა გუშინ განცხადება გაავრცელა, რომელშიც ადასტურებს, რომ მას და საქართველოში აშშ-ის ელჩ კელი დეგნანს შორის შეხვედრა შედგა. როგორც ივანიშვილი განმარტავს, შეხვედრა ელჩის თხოვნით, 21 მარტს გაიმართა და დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა. ყოფილი პრემიერი საუბრობს რეგიონში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზეც და აღნიშნავს, რომ „დღეს, როცა ომის საფრთხე განეიტრალებულია, მმართველ გუნდს აქვს შესაძლებლობა, ყურადღება უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტზე გადაიტანოს და იზრუნოს, რომ საქართველოს ურთიერთობები აშშ-სა და ევროკავშირთან არ დაზიანდეს“.

* * *

წერილიდან ის გავიგე, რაც ისედაც ვიცოდი, რომ ივანიშვილი ჩართულია პოლიტიკაში, - განაცხადა „მოქალაქეების“ დეპუტატმა ლევან იოსელიანმა, რითაც ყოფილი პრემიერ-მინისტრის საჯარო წერილს გამოეხმაურა. მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილი „ქალბატონ დეგნანს თუ სხვა ელჩებს უნდა შეხვდეს არა ისე, რაც მერე ბევრ კითხვის ნიშანს იწვევს, არამედ ცხადად, როგორც პოლიტიკური ფიგურა“. ცნობისათვის: ექსპრემიერმა გავრცელებულ წერილში აღნიშნა, რომ შეხვედრა ელჩის თხოვნით გაიმართა.

მოამზადა
ია შველიძემ

# ბათუმის ბულვარი ევროპის წამყვანი ტურისტული ღირსშესანიშნაობის ნომინაციაზეა წარდგენილი



წელს, ბათუმთან ერთად, ტურიზმის ოსკარის - „World Travel Awards“-ის პრესტიჟულ ჯილდოზე ბათუმის ბულვარია წარდგენილი. გამარჯვებისთვის ბულვარი ქალაქისგან დამოუკიდებლად იბრძვის და ტურიზმის სფეროში ამ მნიშვნელოვანი ჯილდოს (Europe's Leading Tourist Attraction) მოპოვებას 12 წამყვან ტურისტულ ღირსშესანიშნაობასთან, მათ შორის, საგრადა ფამილიას, კოლიზეუმის, ეიფელის კოშკის, ბუკინგემის სასახლესა და აკროპოლისთან ერთად შეეცდება. World Travel Awards-ის ღონისძიება 1993 წლიდან ტარდება. ის აერთიანებს ტურიზმის ინდუსტრიის წამყვან სუბიექტებს, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, ასევე, რეიტინგული მედიის წარმომადგენლებს (ჟურნალ-გაზეთები, ტელევიზია, რადიო, ონლაინ პლატფორმები, სოციალური მედია და ა.შ). ღონისძიებაზე საუკეთესო ტურისტულ მიმართულებებს, სასტუმროებს, ტურისტულ სააგენტოებს, ატრაქციებს, ასევე საზღვაო, საგზაო, საჰაერო ტრანსპორტის კომპანიებსა და ქვეყნებს ასახელებენ.

ბათუმის ბულვარის ისტორია სამსაუკუნოვან, უწყვეტ ციკლს მოიცავს. უნიკალური მდებარეობის და დაგეგმარების ზღვისპირა ბაღი ყველა ეტაპზე მდიდრდებოდა და იძენდა საკრალურ მნიშვნელობას. დღეს ის ჩვენი ქალაქის ყველაზე ცნობილი ღირსშესანიშნაობაა. ეს არის ადგილი ყველა თაობის, ყველა ასაკის და გემოვნების ადამიანებისთვის. გარდა დასასვენებელი, სპორტული და გასართობი ფუნქციისა, ბულვარი აერთიანებს ისეთ მნიშვნელოვან კულტურულ ღირსშესანიშნაობებს, როგორიცაა შუქურა, კოლონადა, „რვაფეხა“, თანამედროვე ხელოვნების ნიმუში „ალი და ნინო“ და სხვა.



რაც შეეხება ბათუმს, ის ევროპის სწრაფად მზარდი ტურისტული მიმართულების პრესტიჟული ჯილდოს მოსაპოვებლად წელს მეოთხედ იბრძოლებს. ამ ჯილდოზე, რომელსაც ქალაქი 2019 წლიდან არ თმობს, ბათუმიდან ბრენდული სასტუმროები და მტირალას ეროვნული პარკია წარდგენილი.

ბულვარისთვის, ისევე, როგორც ბათუმისთვის, ხმის მიცემა ნებისმიერ მსურველს 8 აგვისტომდე შეუძლია. ხმის მიცემა დაწყებულია, ყველამ, ვისაც სურს, ზღვისპირა კურორტმა ევროპის მზარდი ტურისტული მიმართულების ტიტული მოიპოვოს, საკუთარი არჩევანი სპეციალურ საიტზე უნდა დააფიქსიროს. გამარჯვებული 1 ოქტომბერს, ესპანეთში, მალიორკას კუნძულზე დაგეგმილ დაჯილდოების ცერემონიაზე გამოვლინდება. World Travel Awards-ის დასკვნითი ღონისძიება კი ბათუმში 2023 წელს გაიმართება. ეს ქალაქის ცნობადობის გაზრდას, დადებითი იმიჯის შექმნას და ბათუმის, როგორც საერთაშორისო ღონისძიებების მასპინძელი ქა-ლაქის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

ანკა ჩხიკვაძე

## მურმან ცეცხლაძე: სანქციების მეექვსე ეტაპი დიდი დარტყმა იქნება რუსეთისთვის, მაგრამ უფრო - გრძელვადიან პერიოდში

3

## ერეკლე დეისაძე: როდესაც ადამიანებს შიათ, ვერ მოსთხოვ, მათთვის ლიტერატურა პრიორიტეტი იყოს

5

## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:
577 20 43 55.



# აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრს პარლამენტის წევრებმა მოუსმინეს

**ნაირა ფუტკარაძე 27 48 93**



***აჭარაში საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის გასვლითი სხდომა გაიმართა. პარლამენტის წევრებმა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრისგან 2021 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მოისმინეს***

- სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის ბიუჯეტი, 2021 წლის ბიუჯეტთან შედარებით, 1 932 195 ლარით გაიზარდა და 20 905 049 ლარია. 2022 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას, მათ შორის, აგროსასურსათო სექტორის პოლიტიკის შემუშავება და მართვა, აგროსექტორის მდგრადი განვითარება, სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით, სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია, აგროსერვისის განვითარება რეგიონში, სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, მეციტრუსეობის განვითარების ხელშეწყობა, გარემოსდაცვითი პროგრამა, ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება, - განაცხადა ზაზა შავაძემ.

2021 წელთან შედარებით გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის დაფინანსება 2022 წელს განისაზღვრა 1 415 783 ლარით და დაფინანსდა 270 პროექტი. ასევე, გაორმაგებულია სოფლად მეწარმეობის განვითარების ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა და განისაზღვრა 24 ერთეული პროექტით, რომლებიც დაფინანსდება 3 138 640 ლარით.

გაგრძელდა სახნავ-სათესი ფართობების უფასოდ დამუშავება, რომლის დაფინანსებამ შეადგინა 756 405 ლარი, გაიზარდა პროგრამის „მეციტრუსეობის განვითარების ხელშეწყობა“ ბიუჯეტი და შეადგენს 750 000 ლარს.

მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა, ადამიანის ჯანმრთელობის უვნებელი გარემოს შენარჩუნება-უზრუნველყოფა. შესაბამისად, 2022 წლის დაფინანსება შეადგენს 7 268 391 ლარს.

სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“ ემსახურება რეგიონის მასშტაბით როგორც სურსათის, სასმელი წყლის, ატმოსფერული ჰაერის, ასევე, ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ კონტროლს, 2022 წელს ლაბორატორიის ბიუჯეტი განისაზღვრა 581 540 ლარით.

# მიმდინარე და დაგეგმილ საერთაშორისო პროექტებზე ისაუბრეს

**ნაირა ფუტკარაძე 27 48 93**

***ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი UNDP-ის სტამბოლის რეგიონულ მენეჯერს თინა სტოუმს შეხვდა. შეხვედრაზე მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელის მიმდინარეობასა და ციფრული ეკონომიკისა და ეკონომიკური განვითარების მიმართულებით შესაძლო თანამშრომლობაზე ისაუბრეს***



- მადლობა მინდა გადაგიხადოთ აქტიური თანამშრომლობისთვის. ბათუმისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა მიღებული - იგი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რეგიონული ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში, მუნიციპალური გარდაქმნის პორტფელის შექმნისა და დანერგვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულია. ევროკავშირმა 225 ათასი ევრო გამოყო, რაც ბათუმს აძლევს შესაძლებლობას, დანერგოს განვითარების ახალი მიდგომები, რომელიც სტრატეგიულ ინოვაციებსა და დარგობრივი პორტფელების შემუშავების მეთოდებს ეფუძნება, - აღნიშნა არჩილ ჩიქოვანმა.

როგორც UNDP-ის რეგიონულმა მენეჯერმა შეხვედრაზე განაცხადა, ტრანსფორმაციის პორტფელი ითვალისწინებს ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებას, ხელმისაწვდომობის ზრდასა და პოპულარიზაციას ადგილობრივ მოსახლეობაში.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ტრანსფორმაციის პორტფელი გამოცდილი საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით მზადდება, რომელიც შეიმუშავებს მეთოდებსა და კომპლექსურ მიდგომებს ქალაქის წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ. პროექტი მრავალწლიანია და ოთხ ეტაპად ხორციელდება. თითოეული ეტაპის დასრულების შემდგომ, პორტფელში გათვალისწინებული მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით, კონკრეტული ღონისძიების შესრულდა.

შეხვედრას ბათუმის ვიცე-მერი ლევან დავითაძე და UNDP-ის პროექტის - M4EG მენეჯერი საქართველოში თინათინ ტყეშელაშვილი ესწრებოდნენ.

# „ავტობუსის მძღოლების ტრენინგები“ – ბათუმის ავტოტრანსპორტის ახალი პროგრამა

**ნათია იმნაიშვილი 27 48 93**

***გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, მდგრადი ურბანული მობილობის პროგრამის ფარგლებში, სასტუმრო „რედისონში“ დასკვნითი ეტაპის შეხვედრა გაიმართა თემაზე - „ავტობუსის მძღოლების ტრენინგები“***

შეხვედრას „GIZ“-ის მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად, ბათუმის ავტოტრანსპორტის დირექტორი და „ავტობუსის მძღოლების ტრენინგების“ პროგრამაში ჩართული თანამშრომლები დაესწრნენ.

ბათუმის ავტოტრანსპორტის მუნიციპალური ავტობუსების მძღოლებმა პროექტის საწყის ეტაპზე გერმანიაში, ქალაქ ლაიფციგში, სპეციალური სწავლება გაიარეს სატრანსპორტო საშუალებების თანამედროვე მართვის მიმართულებით, რის შემდეგაც გერმანელმა და ავსტრიელმა ტრენერებმა ქართველი მძღოლებისთვის, სპეციალურად შემუშავებული კურსის ფარგლებში, ისინი ადგილზე გადაამზადეს როგორც ტექნიკური, ასევე თეორიული კუთხით.

სწავლების დასკვნით ეტაპზე, პროგრამაში ჩართულ მძღოლებს სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარების შემდეგ, გადაეცათ სერტიფიკატები ეკო და უსაფრთხო მართვის, მომსახურების ტექნოლოგიებისა და ოპერირების მიმართულებით, ტრენერის კვალიფიკაციით.

შემდეგში, სწორედ ადგილობრივი ტრენერი-მძღოლები უზრუნველყოფენ ბათუმის ავტოტრანსპორტის ყველა მძღოლის გადამზადებას ზემოაღნიშნული საკითხების ირგვლივ.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ, ქალაქს მუნიციპალური ტრანსპორტის კიდევ უფრო მეტად კვალიფიციური მძღოლები მოემსახურებიან.

# სეზონური სკოლა ბსუ-ში

**ნათია იმნაიშვილი 27 48 93**

***ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სეზონური სკოლა - „პოლიტიკური მეტყველების კულტურა საჯარო გამოსვლებსა და დებატებში“ გაიხსნა***

სეზონური სკოლის მონაწილეები ექვსი დღის განმავლობაში გაეცნობიან კომუნიკაციის ფორმებსა და კომუნიკაციის წარმართვის ენობრივ საშუალებებს, ქართული პოლიტიკური გამოსვლების არქიტექტონიკას, მანიპულაციის ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ საშუალებებს, პოლიტიკური მეტყველების კულტურასა და პოლიტკორექტულობის არსს.

სეზონური სკოლა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა და ტარდება სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ორგანიზებით.

ამავე პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა ექვსდღიანი „ლიტერატურისა და ლიტერატურული პროცესის შემსწავლელი სეზონური სკოლა“. ლიტერატურის კრიტიკოსებმა და მწერლებმა სეზონური სკოლის ფარგლებში ჩაატარეს ლექციები და სემინარები.




## უკრაინა

უკრაინის ოპერატიული სარდლობა „სამხრეთის“ ინფორმაციით, უკრაინელმა სამხედროებმა რუსი დამპყრობლებისგან ანდრეევკა და ლოზოვოე საბოლოოდ გაასუფთავეს. მათი თქმით, უკრაინულმა ავიაციამ მტერს ოთხი დარტყმა მიაყენა სახმელეთო თავდასხმის თვითმფრინავების, ბომბდამშენების და ვერტმფრენების გამოყენებით. მტრის დადასტურებული დანაკარგებია: 89 რუსი დამპყრობელი, T-62 ტანკი, თვითმავალი ჰაუბიცები, ნაღმმტყორცნების სისტემა, ორი ჯავშანტექნიკა და ექვსი მანქანა, ბელოგოროვკაში განადგურდა მტრის საბრძოლო მასალის საცავი.

* * *

ომის შემსწავლელი ინსტიტუტის განცხადებით, რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ე.წ. დონეცკის სახალხო რესპუბლიკა აგრძელებს უკრაინის ახალი ტერიტორიების მიტაცებას, სადაც მოგვიანებით რეფერენდუმის ჩატარებას გეგმავს. მათივე ცნობით, ე.წ. დონეცკის სახალხო რესპუბლიკის ინფორმაციის სამინისტროს უფროსის პირველმა მოადგილემ განაცხადა, რომ აგვისტოს ბოლომდე მათი მიზანია დონეცკის ოლქის სრულიად აღება.

* * *

ხარკოვის მერ იგორ ტერეხოვის განცხადებით, ქალაქზე მტრის მორიგი სარაკეტო თავდასხმა განხორციელდა, რის შედეგადაც, სულ მცირე, 6 ადამიანი დაშავდა. მერის თქმით, თავდასხმის სამიზნე ქალაქის ინდუსტრიული ობიექტები იყო. იგორ ტერეხოვმა „ტელეგრამის“ არხზე ასევე აღნიშნა, რომ თავდასხმას მსხვერპლი და ხანძარი არ მოჰყოლია, სამედიცინო პერსონალი კი დაშავებულების ჯანმრთელობაზე ზრუნავს.

* * *

24 თებერვლიდან 27 ივლისამდე პერიოდში, უკრაინულმა ძალებმა 40 000-ზე მეტი რუსი ჯარისკაცი მოკლეს. ინფორმაციას უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ავრცელებს. უკრაინის გენშტაბის ინფორმაციით, უკრაინელმა დამცველებმა გაანადგურეს მტრის 1738 ტანკი, 3971 ჯავშანტექნიკა, 883 საარტილერიო სისტემა, 258 ზალპური ცეცხლის სარაკეტო სისტემა, 117 საჰაერო თავდაცვის სისტემა, 222 თვითმფრინავი, 190 ვერტმფრენი, 726 ოპერატიულ-ტაქტიკური დონის უპილოტო საფრენი აპარატი, 15 გემი/ნავი, 167 ფრთოსანი რაკეტა, 2847 ერთეული სატრანსპორტო საშუალება და საწვავის ავზი, 75 ერთეული სპეცტექნიკა.

* * *

დონეცკის ოლქის ქალაქ ბახმუტში მდებარე საცხოვრებელ კორპუსზე რუსმა დამპყრობლებმა სარაკეტო იერიში მიიტანეს, თავდასხმის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა. ინფორმაციას უკრაინის საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო სამსახურის მთავარი სამმართველო ავრცელებს. მათივე ცნობით, თავდასხმა ადგილობრივი დროით 27 ივლისს დილის 7 საათზე მოხდა. შედეგად განადგურდა 5-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსი. მაშველებმა ნანგრევებიდან ერთი გადარჩენილის ამოყვანა შეძლეს, ერთი პირი კი დაიღუპა. როგორც გამოცემა UNIAN-ი იტყობინება, უკრაინელმა სამხედროებმა მტკიცედ მოიგერიეს რუსი დამპყრობლების თავდასხმები რამდენიმე მიმართულებით.

**მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ**

# მურმან ცეცხლაძე: სანქციების მეექვსე ეტაპი დიდი დარტყმა იქნება რუსეთისთვის, მაგრამ უფრო – გრძელვადიან პერიოდში

**ლაშა ხომერიკი 593 50 82 69**

*ნებისმიერი ქვეყნისთვის საკმაოდ არასახარბიელოა დაწესებული სანქციები, ეს იქნება ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო. ბუნებრივია, სანქციები გავლენას ახდენს კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ბოლო ხუთი თვეა, რუსეთთან მიმართებაში ინტენსიურად იღებენ გადაწყვეტილებებს - აწესებენ, ამკაცრებენ ეკონომიკურ სანქციებს. ამის მიზანი ისაა, რომ რუსეთი დაუბრუნდეს საერთაშორისო სამართლის ნორმებს, მაგრამ... დაწესებული სანქციების მიუხედავად, რუსეთი კვლავ აწარმოებს აგრესიულ ომს უკრაინის წინააღმდეგ. ამ საჭირბოროტო საკითხებზე პასუხი მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენათა კომპეტენტურ ცოდნასა და ანალიზს მოითხოვს, სწორედ ამიტომ ბსუ-ის პროფესორს, ეკონომიკის ექსპერტ* ***მურმან ცეცხლაძეს*** *მივმართეთ.*

**- ბატონო მურმან, რუსეთისთვის დაწესებულმა სანქციებმა რა შედეგი მოგვცა მოკლევადიან პერიოდში და რას უნდა ველოდოთ სამომავლოდ?**

- სანქციები გარკვეულ ზეგავლენას რომ მოახდენდა საქართველოს ეკონომიკაზე, ეს ცხადი იყო, რადგან რუსეთი ჩვენი ერთ-ერთი მსხვილი სავაჭრო პარტნიორია. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები აკავშირებს დაახლოებით 140 ქვეყანასთან და 2006 წლამდე რუსეთი ყოველთვის პირველ ადგილს იკავებდა. მისი წილი დღესაც საკმაოდ მაღალია: ხორბალი, ფქვილი, ნავთობი, გაზი და ელექტროენერგია - ესაა მცირე ჩამონათვალი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი საქონლისა, რომელსაც საქართველო მეზობლისგან ყიდულობს. რუსეთი კი თავის მხრივ, საქართველოსგან ყიდულობს ღვინოს, მინერალურ წყალს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასა და ფეროშენადნობებს. მაგალითად, 2021 წელს 10,2%-იანი წილით, რუსეთი საქართველოს მეორე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი იყო თურქეთის შემდეგ - მასზე მოდიოდა ჩვენი ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 14,4%. საქართველოს ძირითადი საექსპორტო პროდუქციის, კერძოდ, ღვინის 59%, მტკნარი და მინერალური წყლების 43%, სპირტიანი სასმელების 26% სწორედ რუსეთში გაიყიდა. რუსულ ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის მაღალი დამოკიდებულება პოლიტიკური რისკების მატარებელია. 2006 წელს რუსეთის მხრიდან ქართული პროდუქციის ბოიკოტირებამ, ასევე, 2019 წლის 20 ივნისის მოვლენების გამო რუსეთის დუმაში ქართული ღვინის იმპორტის შეზღუდვის განხილვამ ნათლად აჩვენა, რომ რუსულ ბაზარზე დამოკიდებულება საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოებისთვის სერიოზული და რეალური გამოწვევაა და აუცილებლად უნდა მოხდეს ამ პროდუქტების ბაზრების დივერსიფიცირება. ექსპორტ-იმპორტის, ტურიზმისა და ინვესტიციების გარდა, რუსეთს დღესაც დიდი წილი აქვს ენერგოპროდუქტების იმპორტის ნაწილშიც. ასევე გასათვალისწინებელია ის სტრატეგიული ობიექტები, რომლებიც გასხვისებულია რუსულ კომპანიებზე. დიდია რუსეთის წილი ფულად გზავნილებშიც. 2021 წელს იგი 17,5% იყო. თუმცა, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ფულის ეს ნაკადები ყველაზე რთულად ჩასაკეტი იქნება, რადგან რუსეთში მომუშავე ქართველებს ძირითადად, რუსეთის მოქალაქეობაც აქვთ და მათი საქმიანობის შეზღუდვა ნაკლებად მოსალოდნელია, მაგრამ სანქციების გამო, რუსეთის ეკონომიკაში შექმნილი პრობლემები იქ დასაქმებულ ქართველებზეც მნიშვნელოვნად აისახება. ზოგიერთი გათვლებით, ყველაზე მკაცრი სცენარის შემთხვევაში, საქართველო რუსეთიდან მაქსიმუმ 1,3 მლრდ დოლარის წლიურ შემოსავალს დაკარგავს - უფრო რეალურია 2015-2016 წლების მსგავსი სცენარის გამეორება - შემოსავალი რუსულ ბაზარზე ექსპორტიდან და ფულადი გზავნილებიდან განახევრდება და საქართველო წლიურად 500-600 მლნ დოლარის შემოსავალს დაკარგავს. თუმცა შეინიშნება დამაიმედებელი ტენდენციებიც, მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის იანვარ-აპრილში რუსეთთან ექსპორტი შემცირდა, ქვეყნის ექსპორტის საერთო მოცულობა ამავე პერიოდში 32,8 პროცენტით გაიზარდა. ზრდა გვაქვს აშშ-ში, ბულგარეთში, შვეიცარიაში, თურქეთში და მეზობელ ქვეყნებში. ძირითადი საექსპორტო პროდუქტებია ფეროშენადნობი, ქიმიური მრეწველობის, წიაღისეულის და მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია, ასე რომ, ეს ტენდენცია დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან ხდება დივერსიფიკაცია როგორც პროდუქციის, ისე ქვეყნების მიხედვით.



**- აშშ-ის და ევროკავშირის ახალი სანქციების სიაში გავლენიანი ოლიგარქები, პოლიტიკოსები, მედიასაშუალებებია შეყვანილი. რამდენად სერიოზული დარტყმაა ეს რუსეთისთვის?**

- საზოგადოდ, ეკონომიკურ სანქციებს საომარი მოქმედებების ალტერნატივად მიიჩნევენ. როგორც აშშ-ის პრეზიდენტმა 1919 წელს თქვა: „გამოიყენეთ ეკონომიკური, მშვიდობიანი, ჩუმი, მომაკვდინებელი იარაღი და ძალის გამოყენება საჭირო აღარ იქნება". როგორც ისტორიულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, კარგად შეიარაღებული და შედარებით თავდაჯერებული ქვეყნების მიმართ სანქციები ნაკლებად ეფექტიანი იყო. რუსეთის წინააღმდეგ სანქციები ჯერ კიდევ 2005-2006 წლებში შემოიღეს, როდესაც ვლადიმერ პუტინის პირველი ვადით პრეზიდენტობისას რუსეთი დასავლეთთან აქტიურ დაპირისპირებაში ჩაერთო. სანქციები გაფართოვდა 2012 წელს „მაგნიტსკის აქტის" მიღებით. 2014 წელს უკრაინაში სამხედრო აგრესიის შემდეგ, აშშ-მა და ევროკავშირმა ყველაზე მასშტაბური და კოორდინირებული სანქციები დაუწესა მოსკოვს და ის, სხვადასხვა მიზეზის გამო, მკაცრდებოდა 2015, 2017, 2018, 2021 წლებში. 2014 წლიდან 2021 წლის სექტემბრამდე რუსეთთან დაკავშირებული აშშ-ისა და ევროკავშირის სანქციები 457 ფიზიკურ და 561 იურიდიულ პირზე ვრცელდებოდა, მაგრამ კრემლი დათმობაზე არ წასულა. აღმოჩნდა, რომ რუსეთი იმაზე უკეთ ეწინააღმდეგებოდა სასანქციო ზეწოლას, ვიდრე დასაწყისში ვარაუდობდნენ. ამ ფაქტმა გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა, თუ რამდენად ეფექტიანია სანქციები რუსეთის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში განხორციელებულმა სანქციებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა რუს ოლიგარქებს, რუსეთი დათმობაზე არც ახლა მიდის, ეტყობა, მან გამოიმუშავა იმუნიტეტი სანქციებისადმი და ახერხებს შეცვლილ ვითარებასთან ადაპტირებას. რა თქმა უნდა, სანქციებს უშედეგოდ არ ჩაუვლია. ანალიტიკოსების გათვლებით, 2022 წლამდე დაწესებული სანქციები ყოველწლიურად საშუალოდ 50 მილიარდი დოლარი უჯდება რუსეთს. სავარაუდოდ, უახლესი 10-15 წლის პერსპექტივაში გაიზრდება სამეცნიერო-ტექნოლოგიური უფსკრული რუსეთსა და განვითარებულ სამყაროს შორის, მაგრამ ეს ნაკლებად აისახება რუსი ოლიგარქების სიმდიდრეზე, რადგან ბოლო წლებში კრემლთან დაახლოებულმა ოლიგარქებმა ფსიქოლოგიური მდგრადობა გამოიმუშავეს, ხოლო კრემლმა მათი დანაკარგების საკომპენსაციოდ ერთგვარი სისტემა შეიმუშავა, რაც კონტროლირებადი ბიზნესებისთვის სახელმწიფო კონტრაქტების გადაცემაში გამოიხატება. ასე რომ, ბოლო პერიოდში დაწესებული სანქციები, სერიოზული დარტყმა იქნება მთლიანად რუსეთისათვის, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, იგი შეაჩეროს ამ სანქციებმა.

**- როგორც ცნობილია, რუსეთის ბაზარი გავლენიანმა მეგა ბრენდებმა დატოვეს. ეს რაზე მიანიშნებს?**

- მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს რუსეთის თანდათანობით ჩამოცილებას ცივილიზებული სამყაროსაგან.

**- რისი თქმა შეიძლება სანქციების პირველი პაკეტის ამოქმედებიდან?**

- მისი ამოქმედებიდანვე რუსეთში დაიწყო კრიზისი, რუსული რუბლის კურსი კატასტროფულად დაეცა, დაიხურა საფონდო ბაზარი. იყო მოლოდინი, რომ საფინანსო კრიზისი მალე გადაიზრდებოდა ეკონომიკურ კრიზისში, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რუსეთმა თავი გაართვა საფინანსო კრიზისს... თუმცა სანქციების შედეგები რუსეთისთვის უფრო საგრძნობი და მტკივნეული გრძელვადიან პერიოდში იქნება.

**- თქვენი აზრით, ელოდა კრემლი ამ მასშტაბის ეკონომიკურ სანქციებს?**

- ვერ ვიტყოდი, რომ მოსკოვი მოუმზადებელი შეხვდა იმ პროცესებს, რაც ახლა ხდება. ვფიქრობ, მის ქმედებაში იკვეთება უფრო გრძელვადიანი მიზნები, რაც გულისხმობს მსოფლიო არქიტექტურის ცვლილებას. რუსეთის ხელისუფლებამ არაერთხელ განაცხადა, რომ უნდა არსებობდეს ორპოლუსიანი მსოფლიო და ეტყობა, მისკენ მისწრაფების გამოხატულებაა რუსეთის ხისტი პოლიტიკა - მას სურს მეორე პოლუსზე ლიდერი თვითონ იყოს. დღეს ღიად საუბრობენ, რომ რუსეთი შეიძლება დაუბრუნდეს ცივი ომის პოზიციებს. იმ დროს მსოფლიო, პირობითად, სამ ჯგუფად იყო დაყოფილი. პირველი მოიცავდა აშშ-ის ირგვლივ გაერთიანებულ ქვეყნებს, მეორე - სსრკ-ის გარშემო გაერთიანებულებს, ხოლო მესამე - ქვეყნებს, რომლებიც ბუფერულ როლს ასრულებდნენ, ანუ პირველი ორი ჯგუფის ქვეყნებთან მეტ-ნაკლებად ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ. როგორც ჩანს, მსოფლიო ეკონომიკის ასეთი სტრუქტურა ისევ აღდგება. დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მსოფლიო ეკონომიკის ახალ არქიტექტურაში ქვეყნების პირველ ჯგუფში ანუ ერთ პოლუსზე მოხვდებიან ისინი, რომლებიც აშშ-ის მიერ დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს სრულადაა მიერთებული; მეორე ჯგუფში, უწინარეს ყოვლისა, ის ქვეყნები შევა, რომლებიც ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრები არიან, ხოლო მესამე, ე. წ. ბუფერული ქვეყნების ჯგუფი ყველაზე ნაკლებადაა მკაფიო, რადგან ის მოიცავს არა მარტო იმ ქვეყნებს, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ ეკონომიკურ სანქციებს არ შეუერთდნენ (მაგალითად, ისრაელი და თურქეთი), არამედ ისეთებიც, რომლებიც ამ სანქციებს მხოლოდ ნაწილობრივ იზიარებენ. ევროკავშირის ქვეყნები, რომლებიც რუსულ გაზს ჯერ კიდევ ყიდულობენ და იძულებულნი არიან, ეს შესყიდვა გააგრძელონ, მომავალში აუცილებლად მოხვდებიან პირველ ჯგუფში, როგორც კი რუსული გაზის რეალურ ალტერნატივას მოიძიებენ. ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრი ქვეყნები (სომხეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი), ბელარუსის გარდა, დიდი ალბათობით, არა მეორე, არამედ მესამე ჯგუფში მოხვედრას შეეცდებიან. ჩინეთი და ინდოეთი ფორმალურად მესამე - ე. წ. ბუფერული ქვეყნების ჯგუფში შედიან. ისინი არ უჭერენ მხარს რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკურ სანქციებს, თუმცა, იმავდროულად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ აშშ-სა და მის მოკავშირეებთან ურთიერთობების ზედმეტ გამწვავებაზე წავიდნენ, ასე რომ, რუსეთს შესაძლოა, აქვს გრძელვადიანი გეგმების რამდენიმე ვარიანტი და გარკვეული გათვლები ყველაზე ცუდი სცენარისთვისაც.

**- ექსპერტები აცხადებენ, რომ დაწესებულმა სანქციებმა რუსეთს მილიარდობით დოლარის ზარალი მიაყენა. აქედან გამომდინარე, ახალი, დაანონსებული სანქციები მის ეკონომიკას კიდევ უფრო დააზარალებს?**

- როგორც ცნობილია, სანქციების მეექვსე პაკეტი შეეხო სხვადასხვა პროდუქციის იმპორტსა (ქვანახშირის) და ექსპორტს (მოწინავე ნახევარგამტარები, მანქანები და სატრანსპორტო აღჭურვილობა), ბანკებს, ტრანსპორტის სექტორს, პროპაგანდის გამავრცელებლებს. მისი ამოქმედება მართლაც სერიოზული დარტყმა იქნება რუსეთის ეკონომიკისათვის. როგორც ეს პაკეტი ითვალისწინებს, SWIFT-ის სისტემიდან ჩამოშორდება რუსეთის უმსხვილესი „სბერბანკი", რომელსაც მთლიანი საბანკო სექტორის დაახლოებით 37% უჭირავს. მეორე სერიოზული ნაბიჯია რუსული ნავთობის იმპორტის სრულად აკრძალვა - საზღვაო გზით და მილსადენით, ნედლის თუ გაწმენდილის. დასავლეთი ჯერჯერობით გამოუვალ მდგომარეობაშია და განაგრძობს რუსეთის რესურსების შესყიდვას. ფაქტობრივად, ომს უწევს სპონსორობას, მაგრამ სულ უფრო და უფრო ნაკლებად. OPEC-ის უკანასკნელი პროგნოზით, წლის განმავლობაში რუსეთის ნავთობმოპოვება დაახლოებით 26 მილიონ ტონას დაკარგავს წელიწადში დაახლოებით 524 მილიონი ტონიდან, რასაც, ჩვეულებრივ, საშუალოდ მოიპოვებს ამჟამად. სხვა ანალიტიკოსების პროგნოზებით კი ეს შეიძლება იყოს 75 მილიონი ტონა. ასახელებენ უფრო დიდ რიცხვებსაც. რუსეთის ენერგეტიკის სამინისტროს გათვლით, არ არის გამორიცხული, რომ რუსეთმა თავისი მოპოვების 40% დაკარგოს არა 2035 წელს, არამედ უკვე 2023 წელს. გერმანიის მთავრობამ, რომელიც ყველაზე მეტად ლობირებდა ევროპაში რუსული გაზის იმპორტს, უკვე რამდენჯერმე განაცხადა, რომ მათ ორი წელი სჭირდებათ რუსეთის გაზზე უარის სათქმელად. ხოლო რუსული ნავთობის იმპორტს 2022 წლის ბოლომდე შეაჩერებს. ამჟამად რუსული ნავთობის წილი გერმანიის იმპორტში 25%-

იხ. მე-4 გვ.

## უცხოეთი

თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი 5 აგვისტოს რუსეთში ჩასვლას გეგმავს. როგორც თურქეთის პრეზიდენტის ოფისი აცხადებს, ერდოღანი ერთდღიანი ვიზიტით ქალაქ სოჭში ჩავა, სადაც, სავარაუდოდ, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შეხვდება.

* * *

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი, რომელიც თანამდებობას მალე დატოვებს, შესაძლოა, ნატოს გენერალური მდივანი გახდეს. ინფორმაციას ბრიტანული „ტელეგრაფი" ავრცელებს. გამოცემა წერს, რომ ჯონსონის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის პოსტზე კანდიდატად წარდგენას მხარს უჭერენ თავდაცვის კომიტეტის წევრები რიჩარდ დრაქსი და მარკ ფრანსუა. ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელი იენს სტოლტენბერგი ამ თანამდებობაზე 2014 წელს დაინიშნა 5 წლის ვადით, თუმცა 2019 წელს მანდატი 2022 წლის ოქტომბრამდე გაუგრძელდა, რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ კი ნატოს წევრმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს, რომ სტოლტენბერგი თანამდებობაზე 2023 წლის 30 სექტემბრამდე დარჩება.

* * *

ბატონ ორბანს ევროპაში მომავალი არ აქვს, - ამის შესახებ ოსვენციმის საერთაშორისო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა კრისტოფ ჰეუბნერმა განაცხადა, რომელიც უნგრეთის პრემიერ ვიქტორ ორბანის მიერ „რასის შერევასთან" დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა. უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა რუმინეთის ტრანსილვანიის რეგიონში სიტყვით გამოსვლისას, სადაც დიდი უნგრული თემი ცხოვრობს, მკაცრად გააკრიტიკა ევროპული ქვეყნები ევროპული და არაევროპული მოსახლეობის აღრევის გამო. ორბანის თქმით, ქვეყნები, სადაც ევროპელი და არაევროპელი ხალხი აღრეულია, ერები აღარ არიან. „ჩვენ არ გვსურს, გავხდეთ შერეული რასა", - დასძინა ორბანმა.

* * *

ევროკავშირის სასამართლომ მხარი დაუჭირა რუსეთის სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული მაუწყებლის **Russia Today**-ის აკრძალვას. გადაწყვეტილებას კრემლში „უკიდურესად უარყოფითი" უწოდეს. ოფიციალური მოსკოვი აცხადებს, რომ საპასუხოდ მსგავს ზომებს მიიღებს დასავლური მედიის წინააღმდეგ. კრემლის პრესსპიკერმა დიმიტრი პესკოვმა ჟურნალისტს განუცხადა, რომ **Russia Today**-ს არ შეუძლია ევროპაში მუშაობა, თუმცა იმედი გამოთქვა, რომ ტელეარხი მაუწყებლობას განაახლებს.

* * *

ფილიპინებზე მომხდარ ძლიერ მიწისძვრას მსხვერპლი მოჰყვა. ადგილობრივი მედია წერს, რომ დაიღუპა სულ მცირე ორი ადამიანი. ქვეყნის მეტეოროლოგიური სამსახურის ინფორმაციით, მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრე 7,2 მაგნიტუდის იყო. ჩრდილოეთით მდებარე პროვინციებში სტიქიის შედეგად შენობები დაზიანდა. ბიძგები იგრძნობოდა დედაქალაქ მანილაშიც.

**მოამზადა ია შველიძე**

# მურმან ცეცხლაძე: სანქციების მეექვსე ეტაპი დიდი დარტყმა იქნება რუსეთისთვის, მაგრამ უფრო – გრძელვადიან პერიოდში

მე-3 გვერდიდან

ია. უკრაინაში რუსეთის შეჭრამდე ეს მაჩვენებელი 35% იყო, გაზის იმპორტი კი 55%-დან 40%-მდე შემცირდა, ქვანახშირის - 50%-დან 25%-მდე, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ სანქციებთან დაკავშირებით ევროკავშირში არ არის სრული თანხმობა და იგი ჯერ კიდევ ვერ ამოქმედდა. ერთ-ერთი მოწინააღმდეგე უნგრეთია, რომელიც ჩეხეთისა და სლოვაკეთის მსგავსად, რუსულ ნავთობზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული. ყოყმანობს ბულგარეთიც. ნავთობზე ემბარგოს იდეა არ მოსწონს კვიპროსსაც. უნგრეთი საჭირო ნავთობის 60 %-ის, ბუნებრივი გაზის კი 85 %-ის იმპორტს სწორედ რუსეთიდან ახორციელებს. უნგრეთი ევროკავშირის წინადადებაზე რუსული ნავთობის აკრძალვასთან დაკავშირებით, ვეტოს დადებითაც დაიმუქრა. ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანის განცხადებით, რუსული ნავთობის წინააღმდეგ სანქციების დაწესება მათთვის „ატომური ბომბის“ ჩამოგდების ტოლფასია. იაპონიაც აცხადებს, რომ მას გაუჭირდება, დაუყოვნებლივ დადგეს სხვა ქვეყნების გვერდით რუსულ ნავთობზე უარის საკითხში. ტოკიო 3,6%-ით არის დამოკიდებული რუსულ ნავთობზე და 8,8%-ით - თხევად აირზე. აპრილში იტალიამ ყოველდღიურად დაახლოებით 450,000 ბარელი ნავთობი მიიღო რუსეთიდან, რაც ოთხჯერ მეტია თებერვლის მონაცემებზე და 2013 წლის შემდეგ დაფიქსირებული ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. რუსული ნავთობის იმპორტის ასეთი მკვეთრი ზრდა საერთაშორისო საზოგადოების მიერ დაწესებულ სანქციებთან და მათ გაუთვალისწინებელ გვერდით ეფექტებთანაა დაკავშირებული, ამიტომ ევროკავშირი იძულებული გახდა, უკან დაეხია და რუსული ნავთობის დაუყოვნებლივი აკრძალვის პოლიტიკა მისი იმპორტის ეტაპობრივად გაუქმებით შეცვალა, ასე რომ, სანქციების მეექვსე პაკეტი დიდი დარტყმა იქნება რუსეთისათვის, მაგრამ უფრო - გრძელვადიან პერიოდში, ვიდრე უახლოეს დროში.

**- სხვათა შორის, ექსპერტები იმასაც ამბობენ, რომ თუ დასავლეთი რუსეთისგან ნავთობისა და გაზის შესყიდვას შეაჩერებს, ეს უძლიერესი დარტყმა იქნება კრემლისთვის.**

- თუ მოსკოვი დაკარგავს დასავლეთის ბაზარს, ერთადერთი, რითაც შეიძლება ჩაანაცვლოს, აღმოსავლეთის, ძირითადად, ჩინეთის ბაზარია, ჩინეთი კი თავად უკარნახებს თავის პირობებს, მოითხოვს შეღავათებს, თუ ჩათვლის, რომ საქონელი ძვირია. ასეთი რამ უკვე მოხდა ყირიმის ანექსიის შემდეგ: მანამდე ჩინეთს არ სურდა რუსეთის ენერგომატარებლების შესყიდვა, მაგრამ როცა რუსეთი სანქციების ქვეშ აღმოჩნდა, პეკინმა კრემლთან მომგებიანი შეთანხმება გააფორმა, რითაც რუსეთი არა მარტო ეკონომიკურად, პოლიტიკურადაც დასუსტდება. ჯერჯერობით, ჩინეთი რუსეთის ახლო პარტნიორია. ახლა, როცა დასავლეთის ქვეყნებმა გამოავლინეს ერთობა უკრაინის მხარდაჭერაში, ჩინეთმა დაიწყო ლავირება და ჩანს, ვერ გადაუწყვეტია, საით წავიდეს: დარჩეს პარტნიორის ერთგული, რომელსაც პირობა მისცა და რომლის მეოხებითაც ეკონომიკური შეღავათები ნახა ომის დაწყების შემდეგ, თუ შეეცადოს ნეიტრალური პოზიციის დაკავებას. არაერთმა ჩინურმა კომპანიამ დატოვა რუსეთის ბაზარი, მაგრამ იქ დარჩა კიდევ ბევრი. ჩინეთი რუსეთისთვის რჩება პარტნიორად, რომლის შუამავლობითაც ყიდულობს დასავლურ საქონელს. პეკინი ხედავს, რომ რუსეთთან თანამშრომლობა მისთვის ხელსაყრელია. მეორე მხრივ, ევროკავშირიც მნიშვნელოვანი ბაზარია ჩინეთისთვის და ურთიერთობის გაფუჭება მასთანაც არ სურს, ამიტომაც უწევს ლავირება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რუსეთი გახდება ამ ორი ქვეყნის ალიანსის სუსტი ნაწილი, ანუ რუსეთი უფრო გახდება ჩინეთზე დამოკიდებული, ვიდრე პირიქით და ეს რუსეთს უფრო დაასუსტებს. ამგვარად, რუსეთმა შეიძლება ერთბაშად ორ ფრონტზე წააგოს: ევროპულზეც და აზიურზეც.

**- რუსეთის ეკონომიკას რომ მძიმე დღეები უდგას, ამას არც რუსი ეკონომისტები უარყოფენ. ამ მხრივ რუსეთმა რა კონტრზომები შეიძლება გამოიყენოს დასავლეთის საწინააღმდეგოდ?**

- პუტინი რუსეთისთვის სერიოზულ პრობლემებს ვერ ხედავს, თუკი ევროპა მასობრივად იტყვის უარს რუსეთის ნავთობსა და გაზზე. მისი თქმით, ქვეყანას აქვს გეგმა, რა უყოს რუსეთის ენერგორესურსებს. ევროპამ უკვე ნელ-ნელა დაიწყო მომჭირნეობა, მეტი გათხევადებული გაზის შესყიდვა, ანუ პროგრამა, რომელსაც ილებენ რუსეთზე დამოკიდებულებაზე უარის სათქმელად, მუშაობს და მომავალში კიდევ უფრო სწრაფად იმუშავებს. ევროპა შვიდი წლის შემდეგ კი არ შეძლებს რუსეთის გაზზე უარის თქმას, არამედ ორიოდე წლის შემდეგ. რუსეთი აცხადებს, რომ თუ ევროპა უარს იტყვის მის გაზზე, იგი აღმოსავლეთისაკენ, კერძოდ, ჩინეთისაკენ მიმართავს მას, მაგრამ აქ ნაკლები პერსპექტივაა. მაგალითად, საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მონაცემებით, 2021 წელს ევროკავშირმა 155 მილიარდი კუბური მეტრი გაზი შეისყიდა. ესაა ევროპული გაზის იმპორტის 45% და გაზზე მოთხოვნის 40%. ჩინეთის მიმართულებით წელიწადში 100 მლრდ ტონა გაზის ექსპორტი რომ მოხერხდეს, ამის უზრუნველყოფას, ექსპერტების გათვლით, ათი წელი დასჭირდება. ამასთან, ასეთი პერსპექტივისაგან ჩინეთი, ჯერჯერობით, თავს იკავებს. ამჟამად ის რუსეთის გაზს მცირე მოცულობით ყიდულობს, თანაც ევროპულ ფასებთან შედარებით - 10-ჯერ იაფად. რუსეთი აცხადებს, რომ, უკიდურეს შემთხვევაში, გაზისაგან დაამზადებენ სხვადასხვა სამშენებლო მასალას, პოლიეთილენს, პოლიპროპილენს და ა. შ. მაგრამ ამ მიმართულებითაც ნაკლები პერსპექტივაა. რუსეთი მიმართავს აგრეთვე დასავლეთის სანქციების საპასუხო სანქციებსაც - პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომელიც კრძალავს პროდუქციისა და ნედლეულის ექსპორტს ადამიანებსა და სუბიექტებზე, რომლებიც რუსეთის მიერ სანქცირებულთა სიებში არიან. ამ დროისთვის უკვე ცნობილია, რომ „გაზპრომმა“ ბულგარეთსა და პოლონეთს გაზის მიწოდება შეუჩერა. რუსეთმა ჯერ კიდევ ყირიმის ანექსიის შედეგად დაწესებული ეკონომიკური სანქციების ფონზე გაზარდა ხორბლისა და მარცვლეულის წარმოება და ახლა მასზე მოდის მსოფლიოში წარმოებული ხორბლის 10%, უკრაინას მსოფლიოში ხორბლის მარაგის 4% მოჰყავს, თუმცა ომის გამო ამ ქვეყნიდან ექსპორტი შეწყვეტილია, რუსეთისა და უკრაინის ხორბლის ჯამური ექსპორტი კი მსოფლიოს ექსპორტის თითქმის მეოთხედია, ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად რუსეთი აკონტროლებს საექსპორტო ხორბლის მსოფლიო მარაგის 25%-ს და ამას ის „ენერგეტიკულ ომთან“ ერთად იყენებს უკვე ე.წ. სასურსათო ომში.

**- აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რუსეთისთვის სანქციების დაუწესებლობამ...**

- ოფიციალურად, საქართველო არ მიერთებია რუსეთზე დაწესებულ სანქციებს, მაგრამ ფაქტობრივად, ასრულებს მათ ძირითად მოთხოვნებს, რათა რუსეთმა არ გამოიყენოს ე. წ. შავი ხვრელები მასზე დაწესებულ სანქციებზე გვერდის ასავლელად. მაგალითად, ვმონაწილეობთ ყველა საერთაშორისო საფინანსო სანქციაში - რუსული VTB ბანკი სანქცირებულთა სიაში მოხვდა, სანქციები გავრცელდა საქართველოში მოქმედ მის ფილიალზე - „ვითიბი ბანკი ჯორჯიაზეც“ და დოლარში, ევროში, ფუნტსა და სხვა უცხოურ ვალუტებში გადარიცხვები მასაც შეეზღუდა. საბოლოოდ, „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ფიზიკური პირების, მეანაბრეებისა და მსესხებლების მომსახურება „ბაზისბანკის“ ხელში გადავიდა, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესმეანაბრეებზე და მსესხებლებზე მომსახურება „ლიბერთი ბანკმა“ გადაიბარა. ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული ყველა ფინანსური ინსტიტუტი, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ვალდებულია შეაფასოს, ხომ არ არის სანქციების გვერდის ავლის მცდელობა და მხოლოდ ამის შემდგომ განახორციელოს ტრანზაქცია. გარდა ამისა, საქართველო, ფაქტობრივად, დიდწილად მიერთებულია დასავლეთის მიერ დაწესებულ სანქციებს რუსეთთან ავიამიმოსვლასთან დაკავშირებით, რადგან 2019 წლიდან, თავად რუსეთის ინიციატივით, აიკრძალა პირდაპირი ავიარეისები და მგზავრების გადაყვანა მხოლოდ ჩარტერული და არაპირდაპირი რეისებით ხდებოდა. რაც შეეხება ვაჭრობას, თვით ევროკავშირს, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს რუსეთთან ვაჭრობა მნიშვნელოვანწილად აქვთ შეზღუდული, მაგრამ არა - სრულად. ევროპა ამ დრომდე განაგრძობს რუსული ენერგომატარებლების მიღებას და, ოფიციალური სტატისტიკით, ნავთობის რეალიზაციიდან შესული თანხა რამდენიმე ათეული პროცენტითაც კი გაიზარდა გასულ წელთან შედარებით. სანქციების ძირითადი მიზანია, ერთი მხრივ, სერიოზულად დააზიანოს პუტინის რეჟიმი, ხოლო, მეორე მხრივ, არ გამოიწვიოს კრიზისი ევროპაში და ნაკლებად იზარალოს თავად, ამიტომ, ამ მხრივ დიდი სიფრთხილე გვმართებს. სანქციების დაწესებით ტერიტორიულად უმნიშვნელო საქართველო დაკარგავს გაცილებით მეტს, ვიდრე რუსეთი. ალბათ, ყველას გვახსოვს, როცა რუსეთს საქართველოს დასჯა უნდოდა, აწესებდა ემბარგოს თუ სხვადასხვა შეზღუდვას ქართული პროდუქციის იმპორტზე. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ისტორიული გამოცდილება, რომ რუსეთი ეკონომიკურ ბერკეტებს ყოველთვის გამოიყენებს პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ამიტომ პარალელურად უნდა ვიზრუნოთ რუსული ბაზრების ევროპული, ამერიკული თუ აზიური ბაზრებით ჩანაცვლებაზეც და ეს ეხება არა მარტო სასაქონლო, არამედ კაპიტალის ბაზრებსაც.

**- დაბოლოს, რა გავლენა ექნება ამ ომის შედეგს მსოფლიოზე და მათ შორის, საქართველოზე?**

- ომის შედეგები უკვე ვლინდება მსოფლიოში ფასების საერთო დონის ზრდაში, რაც, ძირითადად, უკავშირდება მსოფლიო ბაზარზე სასურსათო ნედლეულის და ენერგომატარებლების ფასების ზრდას. ფასების ზრდა საქართველოსათვის, ვფიქრობ, უფრო საგრძნობი იქნება, რადგან მოგვიწევს შედარებით დაბალი ხარისხის, მაგრამ შედარებით იაფი რუსული პროდუქციის ჩანაცვლება უფრო ძვირი ევროპული, ან სხვა ქვეყნების პროდუქციით. ამის ტენდენცია უკვე შეინიშნება. მაგალითად, წლიური ინფლაცია საქართველოში 2022 წლის იანვარ-მარტში იყო 11,8%, ინფლაციის ამ დონით საქართველო მსოფლიოში 35-ე ადგილზე იყო 178 ქვეყნიდან. ყველაზე დიდი ზრდა შესაძლოა შეეხოს პურის ფასს, რადგან ხორბლის 90% საქართველოში რუსეთიდან შემოდის და სხვა ქვეყნების ხორბლის შესყიდვა მნიშვნელოვნად გააძვირებს პურს. ფასები მოიმატებს ასევე უკრაინიდან შემოტანილ პროდუქციაზე - ზეთზე, ცხიმებზე, კარაქზე და სხვა. ექსპერტების აზრით, აგრეთვე, მოსალოდნელია ინვესტორების მიერ ინვესტიციების განხორციელებაზე უარის თქმა ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე. გამოთქვამდნენ შიშს, რომ შემცირდებოდა ტურისტების ნაკადიც, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის. საბედნიეროდ, ჯერჯერობით ეს არ შეიმჩნევა, თუმცა რა იქნება მომავალში, ამის წინასწარ განჭვრეტა ძნელია. ამასთან, აუცილებელია გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნისათვის დადებითი ტენდენციებიც, რაც რუსეთისათვის სანქციების დაწესებამ მოიტანა. კერძოდ, ეს ეხება უკვე თითქმის მივიწყებული ძველი აბრეშუმის გზის საქართველოში გამავალი განშტოების აღდგენის იდეას. ამ საქმეში დიდია საქართველოს მეორე პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის როლი. დასავლეთს არ სჭირდებოდა, რომ რუსეთი ყოფილიყო აზიის ევროპასთან დამაკავშირებელი გზის მონოპოლისტი. ამიტომ აიტაცა ეს იდეა და შეიქმნა ტრასეკას პროექტი - საქართველომ შეიძინა სატრანსპორტო დერეფნის ფუნქცია. მოხერხდა მილსადენების გაყვანა და რკინიგზის ხაზის დასრულება, რომელიც თურქეთს საქართველოს გავლით აკავშირებდა აზერბაიჯანთან. თუმცა მას შემდეგ საქართველო ყოველთვის წარმატებულად ვერ იყენებდა ამ სატრანსპორტო ფუნქციის შესაძლებლობებს. ამჟამად უკრაინაში ომის გამო გეოპოლიტიკური ვითარებაც შეცვლილია და დასავლეთსაც ძალიან სჭირდება აზიასთან რუსეთის გარეშე დაკავშირება. გაიზარდა კიდეც ტვირთნაკადები, მაგრამ საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ვერ პასუხობს დროის გამოწვევებს. ტრასეკას პროექტის მიზანი, თავდაპირველად, ევროპის დაკავშირება იყო ცენტრალური აზიის ქვეყნებთან, მოგვიანებით ამაში ჩინეთიც ჩაერთო. 2014-2015 წლებში მისგან წამოვიდა ინიციატივა „ერთი გზა - ერთი სარტყელი“, რომელიც გლობალური პროექტია და საუბარია არა მარტო სატრანსპორტო დერეფანზე, არამედ იმაზე, რომ მთლიანად ამ ეკონომიკურ დერეფანში უნდა მოხდეს წარმოებაცა და ტრანსპორტირებაც, რაც, თავის მხრივ, ამ სატრანსპორტო დერეფანში მოხვედრილი ყველა ქვეყნის ინტერესშია. უკრაინაში მიმდინარე ომმა ბევრი რამ სხვანაირად დაალაგა - რუსეთის სატრანსპორტო დერეფანი ჯეროვნად ველარ მუშაობს და ჩინეთმა გადაწყვიტა ტვირთების საზღვაო ტრანსპორტით გადატანა. შესაბამისად, გვიჩნდება შანსი, დავაინტერესოთ ჩინური კომპანიები, რომ ტრანსპორტირება მოახდინონ საქართველოს გავლით, რაც საქართველოს სატრანსპორტო დერეფანს გააძლიერებს. ამ ეტაპზე ამის გაკეთება ანაკლიის პორტის გარეშეც შეიძლება, ხოლო თუ ტვირთების ნაკადი გაიზრდება, მაშინ ანაკლიის პროექტი უფრო რეალისტური გახდება. ყაზახეთმა უკვე გადაწყვიტა საქართველოს გავლით ნავთობის ტრანსპორტირება გაზარდოს. დღეს ძალიან დიდი რესურსი არსებობს იმისა, რომ საქართველო გამოყენებულ იქნეს როგორც საჰაერო-სატრანსპორტო ჰაბი და ამას ჩვენი ძალისხმევა სჭირდება. საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება როგორც ევროკავშირთან, ასევე ჩინეთთან და გეოგრაფიულადაც ამ ორ დიდ ეკონომიკურ სივრცეს შორისაა, ესეც სერიოზულ პერსპექტივებს შეუქმნის ჩვენს ქვეყანას. შეიძლება დღის წესრიგში დადგეს „ნაბუქოს“ აღდგენის საკითხიც, რომელიც რომ არ ჩავარდნილიყო, დღეს ევროკავშირს ექნებოდა რუსეთის ალტერნატიული გაზსადენი, ასე რომ, სირთულეებთან ერთად იკვეთება დამაიმედებელი გრძელვადიანი პერსპექტივებიც. ოპტიმისტური იყო ეკონომიკის მინისტრის დავითაშვილის გამოსვლა პარლამენტის წინაშე, სადაც თქვა, რომ მთავრობას აქვს გეგმები, რომელიც უზრუნველყოფს ექსპორტის ზრდას, ტურისტული ნაკადების მოზიდვას, სიღარიბის დონის შემცირებას, მეტი სამუშაო ადგილის შექმნას, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებაზე ხელშეწყობას და სხვა. ენერგოდამოუკიდებლობის და უსაფრთხოების კუთხით, სახელმწიფოს ექნება ენერგოპროექტების მხარდაჭერის გაუმჯობესების ახალი, ფისკალურად მდგრადი მექანიზმები, რომელიც შეთანხმებული იქნება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. შემუშავდება განახლებადი ენერგიის წყაროების მხარდაჭერის ახალი მექანიზმი, რომელსაც შევთავაზებთ კერძო ინვესტორებს, რათა განახლებად ენერგიებში მეტი ინვესტიცია მოვიზიდოთ, გავზარდოთ ჩვენი ენერგოდამოუკიდებლობა. ეკონომიკის მინისტრის ინფორმაციით, ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იქნება ე. წ. ფლაგმანური - შავი ზღვის წყალქვეშა გადამცემი კაბელის პროექტი, რომელიც გულისხმობს საქართველოს და რუმინეთის ელექტროსისტემების დამაკავშირებელი კაბელის მშენებლობას, ასე რომ, საფრთხეები არსებობს, მაგრამ გვაქვს დამაიმედებელი ტენდენციებიცა და პროგნოზებიც.

## 2023 წლის დასაწყისიდან კონკრეტულ მედიკამენტებზე რეფერენტული ფასები დაწესდება

ამის შესახებ ინფორმაციას ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ავრცელებს. როგორც ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ილია ღუდუშაური განმარტავს, რეფერენტული ფასების დაწესება იმ რეფორმის ერთ-ერთი კომპონენტია, რომლის მიზანიც მოქალაქეებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის თუ მედიკამენტების მიწოდებაა.

„თავდაპირველად ზედა ზღვარს ქრონიკული და ონკოლოგიური მედიკამენტებისთვის განვსაზღვრავთ, რადგან სწორედ ისინი იყიდება ყველაზე დიდი რაოდენობით და ყველაზე ძვირადღირებულია. ახლა სწორედ მეთოდოლოგიის შერჩევის ეტაპზე ვართ. პროცესში ჩართულები არიან როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტები, მათ შორის, ვისაც ნამუშევარი აქვს ამ რეფორმაზე ბულგარეთში, სლოვენიაში, ბოსნია და ჰერცეგოვინაში და ასე შემდეგ“, - განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

როგორც ილია ღუდუშაურმა აღნიშნა, რეფერენტული ფასები გენერიკების დონეზე დაწესდება და ნებისმიერი კომპანია, რომელიც კონკრეტული გენერიკის გაყიდვას გადაწყვეტს, ვალდებული იქნება, დადგენილ ტარიფზე მაღალი ფასი არ დააწესოს.

**ამირან ბურიელიძე**

# ერეკლე დეისაძე: როდესაც ადამიანებს შიათ, ვერ მოსთხოვ, მათთვის ლიტერატურა პრიორიტეტი იყოს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*თვლის, რომ ლიტერატურის ფუნქციაა ყველა იმ მნიშვნელოვან და მიჩქმალულ პრობლემაზე ისაუბროს, რომელთა დავიწყებასაც საზოგადოებისათვის ათასგვარი „მანქანებით“ ცდილობენ მავანნი. მიაჩნია, რომ შემოქმედება სწორედ ამ მიზანს ემსახურება, ანუ საუბრობს იმ საკითხებზე, რაც ყოფით ცხოვრებაში აწუხებთ ადამიანებს, არ გაურბის არსებულ რეალობაზე საუბარს. „საქართველოს მოქალაქე“ - ასე ჰქვია მწერლის, მუსიკოსისა და რეჟისორის* ***ერეკლე დეისაძის*** *წიგნს, რომელიც მან ბათუმელ მკითხველს წარუდგინა. რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს საქართველოს მოქალაქე, რატომ არ არის ლიტერატურა და კულტურა ადამიანებისათვის პრიორიტეტი? - ამ კითხვებზე პასუხს ინტერვიუში წაიკითხავთ.*

**- თქვენს წიგნში - „საქართველოს მოქალაქე“, რა გამოწვევების წინაშე დგას მოქალაქე, რისი თქმა სურს მას ხმამაღლა?**

- პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან მიხარია ბათუმელ მკითხველთან შეხვედრა, რომელსაც ყოველთვის აქვს საინტერესო კითხვები ჩემი და ჩემი შემოქმედების მიმართ. განსაკუთრებით გამიხარდა ახალგაზრდების ხილვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ტექნოლოგიური განვითარების მიუხედავად, წიგნის მკითხველი მაინც ინარჩუნებს თავის თავს. რაც შეეხება წიგნს, ეს არის ჩემი თვალით დანახული საქართველოს მოქალაქე ბოლო 30 წელში, ანუ მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ. საუბარია იმაზე, თუ რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ, რა პრობლემები გვაქვს, რა სოციალურ-პოლიტიკური ძვრებია, როგორ აისახება ეს მოქალაქეზე. წიგნი ასევე არის პოლიციურ ძალადობაზე, მთელი სიუჟეტის განმავლობაში ტექსტში არის პოეტის წამება, რომელიც არის ჩემი პროტოტიპი. ეს პოეტი თავის გოლგოთის გზას გადის, რომელსაც მოჰყვება თავისი სიუჟეტური ჯვარცმაც. სურვილი მქონდა დამეფიქსირებინა ჩემი თაობის ხმა, იმ ადამიანების, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, არიან საქართველოს მოქალაქეები, მაგრამ მათი ყოველდღიურობა იმდენად უფერული და ჩვეულებრივია, რომ თითქოს არც არსებობენ. მათი ხმა მიჩქმალულია მეინსტრიმ მედიების, „ელიტების“ და სხვათა მიერ, რადგან ის, რაც დღის წესრიგში დგას პრობლემის სახით, ხშირ შემთხვევაში პრობლემა არ არის, ამით სხვა რაღაც, უფრო დიდი, მნიშვნელოვანი პრობლემა იფარება. ამ წიგნით ვეცადე გადაფარული პრობლემა გამომეტანა მზის შუქზე, რომელსაც ჰქვია სისტემური ძალადობა საქართველოს მოქალაქეზე. ეს ხმა, ანუ „ნაწამები სხეულებისა და სულების ხმა“ დამაკლდა ლიტერატურაში, კინოში, მუსიკაში,



შესაბამისად, გადავწყვიტე, რომ ამ ტექსტში, ეს ხმა უფრო მკვეთრი და ყველასათვის გასაგონი ყოფილიყო.

**- როგორ ფიქრობთ, დღეს ლიტერატურა ამბობს თავის სათქმელს?**

- გარკვეულწილად ამბობს, მაგრამ ისე ვერა, როგორც უნდა ამბობდეს, ამის მიზეზი კი არის კონიუნქტურა, რომელშიც მოქცეულია მთელი თანამედროვე ქართული კულტურა. თუ ადრე იყო საბჭოთა ცენზურა, საბჭოთა კავშირში, ის შემდეგ ჩანაცვლდა სხვა ტიპის ცენზურით. ახლა შეიძლება არ არსებობდეს საბჭოები, რომლებიც ამ ტექსტებს განიხილავენ და „ქარცეცხლში“ ატარებენ, მაგრამ გაჩნდა თვითცენზურა. აღნიშნული თვითცენზურა მოიცავს გარკვეულ ტერიტორიებზე მოგზაურობის აკრძალვას, ანუ, შენ ვერ ეხები გარკვეულ საკითხებს, რადგან კონიუნქტურა გთავაზობს იმას, რაზეც უნდა კომენტირებდე, რათა იყო მეინსტრიმ კულტურის წევრი. მეინსტრიმში მოხვედრას ხომ გარკვეული წესები აქვს, რომელიც ხშირ შემთხვევაში გვავიწყებს უფრო მთავარს. მე ლიტერატურის ფუნქციას ვხედავ იქ, სადაც არ არის მასმედია. ლიტერატურის ფუნქციაც ხომ არარსებულის გამოგონებაა, ხოლო უკვე არსებულში, ანუ იმის გარდა, რასაც ვხედავთ, ლიტერატურამ უნდა ეძებოს და ზედაპირზე ამოიტანოს ის, რაც მიჩქმალულია. ძალიან ბევრი რაღაც არის დღეს, რაც უფრო მეტ კვლევას და ჩაღრმავებას იმსახურებს, იმიტომ, რომ ეს ჩვენი უახლოესი წარსულია. ჩემს წიგნში საუბარი ასევე ეხება ე.წ ციხის კადრებს. მიმაჩნია, ჩვენ თუ სწორად არ შევაფასებთ ჩვენს ახლო წარსულს, ისე ვერანაირი ლოგიკური დასკვნის გამოტანას ვერ შევძლებთ ვერც აწმყოზე და ვერც მომავალზე. იმისთვის, რომ გვქონდეს მიახლოებითი წარმოდგენა და შეფასება საკითხებზე, აუცილებელია ყველაფერი დავიწყოთ ათვლის წერტილიდან, ათვლის წერტილს კი ხშირად ისეთ უხერხულ მომენტებამდე მივყავართ, სადაც გვეუბნებიან, რომ არ არის დრო ამ ყველაფერზე ფიქრის, რადგან ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები გვაქვს. ვიღაც ხელოვანი, სამწუხაროდ, ექცევა ამ კონიუნქტურაში, ისევ და ისევ, რაღაცის დაკარგვის შიშის გამო. მათთვის მიმზიდველია ის წრე, რომელიც მეამბოხე კულტურის სახელით „ხელოვნურ საფარზე ძოვს“ და თვალს ხუჭავს იმაზე, რაზეც არ უნდა ხუჭავდეს.

**- რის და ვის წინააღმდეგ არის თქვენი გზავნილები?**

- პირველ რიგში, ეს არის სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობის წინააღმდეგ. უთანასწორობას ბევრი განშტოება აქვს, ვერანაირ გარემოს ვერ შევქმნით, თუ არ იქნება რაღაცები ყველასთვის ხელმისაწვდომი. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთან ვხედავთ ძალიან დიდი უფსკრულს, არ არსებობს საშუალო ფენა, არსებობს მხოლოდ მაღალი და უდიდესად გაღატაკებული ფენა. აი, ამ უფსკრულის ამოსავსებად ბევრი სამუშაოა გასაწევი, ამიტომაც ვცდილობ ჩემი შემოქმედებაც იმაზე და იქითკენ იყოს მიმართული, რაც აქ და ახლა ხდება. აბსტრაქციაზე მეტად, კონკრეტიკას მივიჩნევ სწორად, ვფიქრობ, აბსტრაქციების დრო წავიდა, მეტ კონკრეტიკას მოითხოვს მკითხველი.

**- არ ვიცი, რამდენად დამეთანხმებით, მაგრამ თითქოს დღევანდელ ეპოქაში, ზღვარი მოიშალა კარგს, ცუდსა და უარესს შორის. მკითხველისთვის ხანდახან ბუნდოვანია, სად იწყება და მთავრდება რეალობა. როგორ ფიქრობთ, დღეს საზოგადოება რამდენად სწორად იზიარებს იმას, რასაც ლიტერატურა გვთავაზობს?**

- დღევანდელი საზოგადოების 80 პროცენტს შია და ის ფიქრობს, გადარჩენაზე, თვლის, ეპატიება, რომ არ ცალია კულტურისა და ლიტერატურისთვის. ამიტომაც ვთხოვ კულტურას, რომ აუცილებლად ამ 80 პროცენტზე გააკეთოს აქცენტი. ძალიან მნიშვნელოვანია, ემპათია გვქონდეს იმ ჩაგრული უმრავლესობის მიმართ და არა ჩაგრული უმცირესობის მიმართ. ჩვენთან ჩაგრული უმცირესობის მიმართ ემპათიამ გადაფარა ჩაგრული უმრავლესობისადმი ემპათია. მართალია, აქ ზღვარი რა საჭიროა, ჩაგრული ჩაგრულია, ემპათია ემპათიაა, მაგრამ მთელი ფოკუსი გადატანილია არასწორი მიმართულებით.

**- ლიტერატურა რამდენად პრიორიტეტულია დღეს და თუ არ არის, რა უნდა გააკეთოს ლიტერატურამ იმისათვის, რომ უფრო მეტი ახალგაზრდა „წამოაგოს ანკესზე“?**

- კიდევ ერთხელ და ხმამაღლა ვიტყვი, - როდესაც ქვეყანაში სიღატაკე და გაჭირვებაა, ადამიანებს მასობრივად ვერ მოვთხოვთ წიგნის კითხვით დაკავდნენ, რადგან მათ დღის წესრიგში სხვა გამოწვევები დგას. ლიტერატურა, კინო, კულტურა ზოგადად, ფუფუნების საგანია, რომლითაც სიამოვნება და ტკბობა იწყება მერე, როდესაც ადამიანად გრძნობ თავს. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ღირსეულად თავს საზოგადოების დიდი პროცენტი არ გრძნობს, უპირველესად იმიტომ, რომ მათ არ ღებულობენ ისეთებს, როგორებიც არიან. მუდმივად მიდის ქართველის გადაკეთების და შექმნის პროცესი, მაგალითად, ის, თუ როგორი უნდა იყოს ქართველი თავისი დასავლური ღირებულებებით. აღსანიშნავია, რომ აქვე არსებობს აღმოსავლური ღირებულება, ამიტომ ჩემთვის ძალიან მიუღებელია, როდესაც ცნება ქართველს ვაქცევთ ერთ კონკრეტულ მიმართულებად, ის სწორედ თავისი მრავალფეროვნებით არის მდიდარი. ქართველი, როგორც ევროპელი, ისევე აზიელია და ჩემთვის სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი, საინტერესო. მიმაჩნია, რომ ჩემი ქართული ენაც მნიშვნელოვანია, რომ ის უსქესოა, რაც თავის თავში ძალიან დიდ თავისუფლებას გულისხმობს, თავისუფლებას, რომელიც კოდირებულია ქართველ ერში. სანამ სოციალური გაჭირვების საკითხი არ მოგვარდება საქართველოში, არაფერი არ მოგვარდება, მართალია, რაღაცები შეიქმნება, მაგრამ ეს არ იქნება მასობრივი და მასიურად ხელმისაწვდომი. თუ შენ არ გაქვს საარსებო მინიმუმი, რომელიც ადამიანად გაგრძნობინებს თავს, ვერანაირი გალაკტიონის წაკითხვას ვერ მოვთხოვთ ვერავის. როცა შვილს შია, მშობელი ჯერ ცდილობს ის გამოკვებოს, შესაბამისად, წიგნს, ანუ ლიტერატურას დაკარგული აქვს ჩვენს ქვეყანაში პრიორიტეტულობა. მთელი საქართველო საზღვარგარეთ საშოვარზეა წასული, რომ შვილები გამოკვებონ, ამიტომ ამ ხალხისთვის რაღაცების მოთხოვნა არასწორი მგონია. რაც უნდა წიგნები მივაწოდოთ მკითხველს, თუ ის საბაზისო პრობლემები არ მოგვარდება, რაზეც ვისაუბრე, არაფერი მოგვარდება. მიმაჩნია, რომ ადამიანები თვითონ მივლენ წიგნთან მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანაში საერთო სოციალური გარემოს მინიმალური დონე მაინც აიწევს.

**- ბათუმი თქვენთვის...**

- ბათუმში გაზრდილი ვარ, თითქმის, ბებიას და ცხოვრობს აქ, ამ ქალაქში ბევრი ნათესავი მყავს. ჩემი სამწერლო ბიოგრაფიის საწყისიც ბათუმს უკავშირდება, როცა გამოვიდა ჩემი პირველი ავადსახსენებელი წიგნი „საიდუმლო სირობა“ და მთელი ამბავი ატყდა, ბათუმი იყო ქალაქი, სადაც გამოვექეცი ამ ქაოსს. დაახლოებით 6 თვე ვიყავი აქ და ვამბობდი, რომ ვიყავი ევროპაში. ეს ქალაქი ყოველთვის მაძლევს საჭირო ენერგიას უფრო მეტის და საინტერესოს შესაქმნელად.

# კონდიტერი, რომელმაც მე-5 კლასში პირველი საქორწილო ტორტი გამოაცხო

ხატია იაშვილი 555 18 48 88

*ბათუმში არ მეგულება ადამიანი, რომელსაც* ***გურანდა ხინიკაძის*** *ტორტი ერთხელ მაინც არ გაუსინჯავს. მისი ნახელავის გემო და ვიზუალი განსხვავებულია და მარტივად ამოსაცნობიც. ბავშვობიდან უყვარს საქმე, რომელსაც აკეთებს. წლების წინ, მეზობელმა, ჯერ კიდევ მეხუთე კლასელ გოგონას ანდო პირველი საქორწილო ტორტის მომზადება. სამსართულიანი, გაფორმებული ტორტი 11 წლის ბავშვისთვის იყო პირველი სერიოზული შეკვეთა, რომელიც დამოუკიდებლად შექმნა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე იხვეწებოდა და ახლა პედაგოგის რანგში უზიარებს თავის რეცეპტებს მომავალ კონდიტერებს. ამ და სხვა საინტერესო თემებზე დღეს თავად გვესაუბრება. გურანდა ხინიკაძე ჩვენი გაზეთის სტუმარია*

- დავიბადე ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირში, 1980 წლის 1 იანვარს. ბავშვობიდან ვფუსფუსებდი სამზარეულოში. დედას ხშირად ხელს ვუშლიდი ჩემი ცნობისმოყვარეობით და მიბრაზდებოდა. სკოლა დავამთავრე და ჩავაბარე ბათუმის მუსიკალურ სასწავლებელში საგუნდო-სადირიჟორო განხრით. ვთვლი, რომ იქ შეცდომით ჩავირიცხე. დედაჩემის დიდი სურვილი იყო, ამიტომ, დიპლომი ხელუხლებელი მიდევს სახლში. ჩემი



პროფესიით არასოდეს მიმუშავია, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ბავშვის მომზადებას, ისიც - მოკლე დროით. ზოგადად, მარტო საკონდიტრო საქმე არ მიზიდავდა, ბავშვობიდან ვქსოვდი, ვქარგავდი, ვხატავდი, კერვის გარდა ყველაფერი ვიცოდი და მაინტერესებდა. ხელოვნება მიყვარს, ვთვლი, რომ კონდიტერობაც დიდ ხელოვნებასთანაა დაკავშირებული - გემო, სილამაზე ყველაფერი ერთადაა თავმოყრილი. პირველად საქორწილო ტორტი მე-5 კლასში გავაკეთე. ძალიან მარტივი იყო, სამსართულიანი და გემრიელი. ჩემგან ეს არავის გაჰკვირვებია. დამოუკიდებლად, პირველი კლასიდან ხინკალს ვამზადებდი. დედაჩემი კარგი მზარეული და კონდიტერია. მის ნახელავზე გემრიელი აჭარული ბაქლავა არსად გამისინჯავს. ალბათ, გენეტიკურმა ფაქტორმაც იმოქმედა, - გვიყვება გურანდა ხინიკაძე.

ქალბატონი გურანდა ამბობს, რომ მისთვის ყველა ტორტი, რომელიც ოდესმე გაუკეთებია, გრანდიოზულია. საქორწილოდ თუ ამზადებს, მით უმეტეს, თუმცა გამორჩეულად ახსენდება ქეთი ბერიძის ტორტი, რომლის დეკორაციებს სამი თვე აკეთებდა. ყველა ყვავილი ხელნაკეთი და ბუნებრივთან მიახლოებული ყოფილა, რამდენად დაუჯერებელიც არ უნდა იყოს - სურნელითაც კი.

- როდესაც ტორტს ვამზადებ, არ უნდა ვიყო ცუდ ხასიათზე. ყოველთვის ვხუმრობ, ვმაიმუნობ, ხანდახან იმდენს ვიცინი, რომ დროს ვკარგავ. ხასიათი არ მინდა არასდროს ტორტში გადავიტანო. უცხვირპირო პატარძლის გამო შეკვეთაზე უარიც მითქვამს. ადამიანი თუ არ გენდობა, იმის გულს ვერაფრით მოიგებ. მისი ემოცია გადმოდის შენში. შეიძლება მიიღო სასურველი შედეგი, მაგრამ დიდი წვალების და შრომის ფასად და არ მიღირს. თუმცა იყო ერთი შემთხვევა, არ მინდოდა შეკვეთის აღება, ხათრით ავიღე, ეს ხომ ბათუმია, ქორწილის შემდეგ კი ქუჩის მეორე მხრიდან დედა-შვილი მადლობას მიხდიდა. როდესაც მოდიან და გეუბნებიან, შენთან მოვედი, მაგრამ... აი, ეს „მაგრამ“ აღარ მიტოვებს სურვილს მათთან თანამშრომლობის. შემკვეთი არ უნდა მოვიდეს შენამდე, თუ არ გენდობა. ნდობა ყველაზე მთავარია და ასეთებს არასოდეს დავაღალატებ. როცა კლიენტი მენდობა, ტორტის გემო და ვიზუალი თავისით იქმნება. დღეში 8 საქორწილო ტორტიც გამიკეთებია, მარტოს, დამხმარის გარეშე. საკონდიტროს გახსნას არ ვგეგმავ, რადგან განვითარებისთვის სახლში მუშაობა მირჩევნია - ადრე მქონდა და ვთვლი, რომ არ უნდა გამეხსნა, - გვიყვება რესპონდენტი.

ქალბატონი გურანდა ერთ-ერთ კოლეჯში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. როგორც ყველაფერს, ამასაც გულით აკეთებს, მაგრამ სტუდენტებს მხოლოდ რეცეპტებს ასწავლის, დიზაინს - არა. თვლის, რომ ამ კუთხით მასაც ბევრი აქვს სასწავლი - თანამედროვე ელემენტებს გულისხმობს. სტუდენტებს, უპირველესად, ასწავლის, რომ ერთი და იგივე რეცეპტი ერთმანეთის იდენტური არ უნდა გააკეთონ და ყოველთვის უნდა ეცადონ განსხვავებული გემოს მიღებას. გააფუჭონ ინგრედიანტები, მაგრამ შექმნან საკუთარი.

იხ. მე-8 გვ.

# ზღვა მარტო რომანტიკა როდია...



**გურამ ველიაძე** შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წაბლანაშია დაბადებული. პროფესიად მეზღვაურობა აირჩია, წლების შემდეგ კი მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა და აქ აგრძელებს საქმიანობას.

**- ზღვამ რატომ გაგიტაცათ?**

- 8 წლისა 2 ძმასთან ერთად, ობლად დავრჩი. მამა - ალიოსმან ველიაძე ალალმართალი და მუყაითი კაცი იყო. შვილებს მზრუნველობას არ გვაკლებდა, წაბლანის 8-წლიანი სკოლა რომ დავამთავრე, ბიძის თევრათ ველიაძის რჩევით, მე და მისმა შვილმა გივიმ ბათუმის საზღვაო სასწავლებელში ჩავაბარეთ, კარგი მომზადების წყალობით კურსანტები გავხდით. დედა რომ გარდაიცვალა, მეორე კლასში ვიყავი, ჩემი ძმა რემზი - 1 კლასში, რომანი კი სკოლაშიც არ დადიოდა. მამამ მეორე ცოლი შეირთო, რომელთან კიდევ 3 ვაჟი გააჩინა. დედინაცვალსაც ვერ დავემდურები, ორივე ცდილობდა ცხოვრებისა და სწავლის ნორმალური გზა აგვერჩია. სასწავლებლის დასრულების შემდეგ, გემზე წავედი. მარტო ტექნიკური განათლება საკმარისი არ იყო კარიერისთვის. ახლა უკვე მეუღლე შორენა რომანაძე დამიდგა გვერდით და სამუშაოდან მოუწყვეტლივ, უმაღლესი განათლება მივიღე, და 35 ათასი ტონა ტვირთამწეობის საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ფლაგმანზე, მადანმზიდ „აკაკი წერეთელზე“ - მთავარ ინჟინრად დავიწყე მუშაობა. დედის და მამის დიდი ამაგის პასუხად, ძმებს ვუპატრონე. დღეს ხუთივე დაოჯახებულია, ერთმანეთის ფასიც ვიცით და რიდიც გვაქვს.

**- მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიარეთ. მშობლიურ საქართველოს რომელს ამჯობინებდით?**

- არცერთს, არასდროს და არაფრის ფასად. ზღვამ მშობლიური მიწის საოცარი მონატრება იცის. 1996 წლამდე ზღვაში ვიყავი, შემდეგ საზღვაო სანაოსნოში ამიყვანეს სამუშაოდ. აგერ 26 წელია, მშობლიური კუთხის სამსახურში ვარ. ვიყავი საქართველოს საზღვაო სანაოსნოს სუპერინტენდანტი, მთავარი ინჟინრის მოადგილე, სანაოსნოს შვილობილი კომპანიის შპს „მორტეხსერვისის“ დირექტორი, აშშ-ის საელჩოს მიერ დაფინანსებული საქართველოს სანაპირო დაცვის გემების მოდერნიზაციის პროექტის მენეჯერი, რომლის ჩაბარებასაც ჰილარი კლინტონი დაესწრო, ბათუმის ნავსადგურის მთავარი ინჟინერი, 2015 წლიდან დღემდე შპს „მმს გრუპის“ ტექნიკური დირექტორი ვარ.

**- თითქმის 25 წელზე მეტი ზღვაში გაატარეთ. კრიტიკული სტუაციებიდან რას გაიხსენებდით?**

- სიცილიასა და მალტას შორის მივცურავდით და 8-ბალიან შტორმში მოვყევით.

**- ზღვისპირეთის ქალაქში შრომა და ცხოვრება აირჩიეთ. ვისი რეკომენდაციით მოხვდით საპასუხისმგებლო თანამდებობაზე?**

- საქართველოს საზღვაო-სანაოსნოს მაშინდელი გენერალური დირექტორის ბიჭიკო ვარშანიძისა და მთავარი ინჟინრის ტარიელ დოლიძის დამსახურებით. ახლა ვცდილობ, მათი გზა გავაგრძელო. ახალგაზრდებს თანადგომასა და დახმარებას არ ვაკლებ. ჩემი რეკომენდაციით სამუშაოზე მიღებულები ნდობას ამართლებენ.

**- ოჯახზე რას გვეტყვით?**

- ორი ქალიშვილი გავზარდეთ მე და შორენამ. მათ რომ ნორმალური განათლება მიიღეს, ეს შორენას დამსახურებაა. ხათუნამ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა ინგლისური ენის სპეციალობით. ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავის მკვიდრი რამაზ ხმალაძეა მისი მეუღლე. ორ ქალიშვილსა და ვაჟს ზრდიან. უფროსი შვილიშვილი მეათე კლასის მოსწავლეა. ნათიამ კიევში მიიღო უმაღლესი სამედიცინო განათლება და ახლა ბათუმში, კლინიკა „მედინაში“ გინეკოლოგიური განყოფილების წამყვან სპეციალისტად მუშაობს. მისი მეუღლე ხულოს რაიონის მკვიდრი ზაზა შავაძეა. ისინიც 2 შვილს ზრდიან - ვაჟს, რომელიც მესამე კლასშია და 4 წლის ქალიშვილს.

**- ყოფილ მეზღვაურს როგორი სამეგობრო გყავთ?**

- ზღვასთან დაშორებამ იმ მეგობრებსაც ჩამომაშორა, რომლებიც უცხოეთში შევიძინე. ახლა ვცდილობ, ურთიერთობები აღვადგინო.

**- მშობლიური შუახევის თანადგომა, ქველმოქმედება ცხოვრების წესად გექცათ. ეს სათავეს საიდან იღებს?**

- იმ მწარე ბავშვობიდან, რომელიც გამოვიარე. ყოველ დაძახებაზე შუახეველებთან ვარ, იქნება ეს სახალხო დღესასწაული თუ სხვა აქტივობა. ქვეყნისთვის ძნელბედობის წლებში მრავალს ხელი რომ გავუმართე, ახლაც არ მივიწყებენ.

**- იშვიათობაა ისეთი დამოკიდებულება, როგორიც მამასთან გქონდათ. ეს დედისნაადრევად დაკარგვით იყო გამოწვეული თუ...**

- მიჭირს პასუხის გაცემა. მან ორივე მშობლის როლი იტვირთა. არ უყვარდა ზედმეტობა, პირადი დამსახურების წარმოჩენა. სოფელში კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა.

**- ერთ ხანს აქტიურად იყავით ჩართული მთა ღომას ტურისტულ ლოკაციად გადაქცევის მოძრობაში. ეს წამოწყება რატომ შეჩერდა...**

- არაფერი შეჩერებულა, ღომა მალე სანიმუშო სამთო-სათხილამურო კურორტად გადაიქცევა. ამის საფუძველს არსებული ტყის მასივები და სამკურნალო წყლები იძლევა.

**- ამ ეტაპზე რაა საჭირო, რომ ეს ტერიტორია განვითარდეს?**

- დიდი არაფერი, მხოლოდ ადგილობრივი ხელმძღვანელობის ყურადღება, რაც ბოლო წლებში შენელდა მარტო რეკრეაციული ზონის გამოცხადება არ კმარა. იმ ადგილებშიც დაიწყო უკანონო მშენებლობები.

**- დატვირთული სამსახურის ფონზე, შვილიშვილებისთვის თუ იცლით?**

- დღეში ორ-სამ საათს მათთან ვატარებ და მაინც უკმაყოფილების გრძნობა მაქვს. ახლა თადარიგს ვიჭერ, რომ უფროს შვილიშვილს არჩეულ პროფესიაში ხელი წავახმარო.

**- თქვენი თანასოფლელი, უხუცესი სოსო ბერიძე მეზობელ ქვეყანაში მუჰაჯირობის დროს წასულ ახლობლებთან მოატარეთ...**

- სოსო ბერიძე ჩემი ნათლიაა, მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ნათელამ ობლად დარჩენილს შვილივით მიპატრონა. მასწავლიდა პირველი კლასიდან. ორივეს დიდი ღვაწლი აქვთ გაღებული, რომ სკოლა წარჩინებით დამემთავრებინა. ნათლია უკვე 85 წელსაა მიტანებული. ერთხელაც წამოცდა, რომ მეზობელ ქვეყანაში წასვლა და ისტორიული ადგილების, იქ წასული ახლობლების ნახვა სურდა. არ დამზარებია მეგზურობა.

**- შთამომავლებს მეზღვაურობას თუ ურჩევდათ?**

- ეს მათი გადასაწყვეტია. ზღვა მარტო რომანტიკა როდია, იგი თავისებურ მიდგომას ითხოვს. მე თავს ვალმოხდილად მივიჩნევ.

# «აგროეკოსურსათი» - ახალი კოოპერატივი

***სულ მალე დაბადებიდან 70 წელი უსრულდება ანზორ გოგიტიძეს. ნახევარი საუკუნის წინ მან შრომითი საქმიანობა მშობლიური სოფლის სკოლაში დაიწყო. იმ დღიდან მოყოლებული, დიდი და რთული გზა გამოიარა.***

იყო შუახეველი ახალგაზრდების წინამძღოლი, რაიონის პირველი პირი, საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა ქალაქ ბათუმის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელისუფლებო სტრუქტურებში. ოთხი წელი დაჰყო ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. ახლა აჭარის სატყეო სააგენტოში მუშაობს წამყვან პოზიციაზე.

ცხოვრებით და შრომით დაბრძენებულმა, კარგად უწყის, რომ აჭარის მთიანეთში მეცხოველეობა წამყვან დარგად რჩება. აქ წარმოებულ მეცხოველეობის პროდუქტებს ქვეყნისა და უცხოეთის ბაზრებზე ბადალი არ აქვს. იმასაც კარგად ხედავს, რომ სოფლის მეურნეობის ეს დარგი ისეთ დონეზე აღარაა, რომლის მომსწრე თავად იყო. პირუტყვის სულადობასთან ერთად, მცირდება სათიბი სავარგულების რაოდენობა. მოსახლეობა, იმის ნაცვლად, რომ ადგილზე დაამზადოს უხეში საკვები, ქვეყნის სხვა რეგიონებიდან დაბალყუათიანი თივის ან ნამჯის შემოტანას ამჯობინებს. ადრე არსებული მაღალმოსავლიანი სათიბების უმრავლესობა ტყემ მოიცვა. გამონაკლისი არც გოგინაური და მიმდებარე სოფლებია.



ანზორ გოგიტიძემ მეურნის გონებით გათვალა ყველაფერი და მშობლიურ სოფელში ადრე არსებული მეცხოველეობის ფერმის ტერიტორიის გამოყენება, კოოპერატივ «აგროეკოსურსათის» შექმნით დაიწყო. ადრინდელი ნაგებობიდან მხოლოდ ცარიელი კედლები იყო შემორჩენილი. 400 ათასი ლარის ინვესტირება გახდა საჭირო, რომ შენობა მოეწესრიგებინა. ბალტიისპირეთიდან «ჰორშტეინის» მაღალპროდუქტიული 31 დასახბოიანებელი დეკეულები და ფურები შემოიყვანა. თანადაფინანსებითაც ისარგებლა.

ზოგიერთი საქმის წამოწყებისთანავე საზოგადოების, მასმედიის ყურადღების არეალში მოქცევას ცდილობს. ანზორი და მისი პარტნიორები ყველაფერს უხმაუროდ, ზედმეტი ფაციფუცის გარეშე აკეთებენ. არადა, კოოპერატივის შექმნით 11 თანასოფლელს მუდმივი სამუშაო გაუჩინა. უხეში საკვების დამზადებაში, სათიბებიდან მათ გადმოტანაში, სხვა საქმეებში სეზონურად 74 ოჯახის წარმომადგენელი ჩართო.

აჭარის მთიანეთში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესება თითქმის ნულზეა დასული. «აგროეკოსურსათის» დამფუძნებლები აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით მიღებულ ნამატს სახორცედ არ იყენებენ. მათ ადგილობრივ ფერმერებს ხელსაყრელ ფასებში აძლევენ, რომ არსებული პირუტყვი ჯიშობრივად გაუმჯობესდეს.

ანზორმა კარგად იცის, რომ წალკის ტერიტორიაზე დამზადებული თივა კალორიულია და მეტწილად იქიდან შემოაქვთ. გარდა ამისა, ვანის მუნიციპალიტეტში არენდით აქვთ აღებული რამდენიმე ჰექტარი ტერიტორია, სადაც იონჯას თესავენ. ამასთან, მშობლიური სოფლის ტერიტორიაც აითვისეს და შვრია დათესეს, მოსავალსაც კარგი პირი უჩანს.

კოოპერატივში დასაქმებულები ნუგზარ, მარინა, ვალერი, ნიკა გოგიტიძეები შრომით ანაზღაურებასაც არ ემდურიან. თვეში 500-დან 1200 ლარს გამოიმუშავებენ. ჩამოწველილ რძეს, რომელიც თვეში 7-8 ტონას შეადგენს, ადგილზე ამუშავებენ და შუახევის, ბათუმის მარკეტებს, კვების ობიექტებს ეკოლოგიურად საღი კარაქით, ყველითა და ხაჭოთი ამარაგებენ.

«აგროეკოსურსათი» ერთი წელია მოქმედებს. აქ წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების საიმედოობაზე, მის სარგებლიანობაზე მაღალი შეფასებები აქვთ გაკეთებული დარგის სპეციალისტებს, ქვეყანაში მომუშავე წამყვან მეცნიერებს.

«აგროეკოსურსათი» შუახევის მუნიციპალიტეტში მეცხოველეობის პირველი კოოპერატივია. იმედია, მას მიმდევრებიც გამოუჩნდებიან.

- ჩვენთვის მარტო ფულის მოგება არაა მთავარი, - აცხადებენ კოოპერატივში დასაქმებულები, - საზოგადოებას, დარგის მესვეურებს მაგალითი უნდა მივცეთ, რომ მეცხოველეობა ისევ წამყვან დარგად იქცეს, რაც ყველას ვალია.

# „შუამთობის“ დღესასწაულის წინ

*აჭარა-გურიის ქედის კალთებზეა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ის საძოვრები, სადაც ზაფხულს შუახევის მუნიციპალიტეტის 20-ზე მეტი სოფლის მეცხოველეები ატარებენ. მათი პირობების გაუმჯობესება ყოველთვის იყო და არის შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთა საზრუნავი*



შუახევის მერი ომარ ტაკიძე, მისი მოადგილე გურამ ზოიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძე ჯანჯღნარის, კენჭისაყარის, კიკიბოს, შუაიეილის, მერიაყელსა და თაგინურზე იყვნენ და იქ არსებულ მდგომარეობას გაეცნენ. სტუმრებმა მთაში გასულ ზამლეთის, ჭვანისა და წყალსაყრის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების მოსახლეობის წარმომადგენლებს მოახლოებული სახალხო დღესასწაული „შუამთობა“ მიულოცეს, მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებზე, სამომავლო გეგმებზე ესაუბრნენ.

- მთაში ზაფხულს ოჯახთან ერთად ვატარებ, - გვითხრა ნაღვარეველმა ხასან ხილაძემ, - 70 წელს გადაცილებულს ის წლებიც მახსოვს, როცა მერიაყელში საცალფეხო გზით ამოვდიოდით, ახლა მიკროავტობუსს მეცხოველეები უფასოდ ამოჰყავს. დენი არ გვქონდა და ეს საკითხიც მოგვარდა. გულსატკენია, რომ პირუტყვის სულადობა მცირდება, გამოკეტილმა მთის სახლებმა იმატა. ის ყურადღება და თანადგომა, რაც ახლა გვაქვს, ადრე საოცნებო იყო. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები „შუამთობის“ დღესასწაულსაც მოგვილოცავენ და სანახაობითი ღონისძიებებითაც გაგვახალისებენ.

- ვაგრძელებთ მთების ელექტროფიცირებას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ჯანჯღნარისა და კიკიბოს მთების შიდა ელექტროქსელის რეაბილიტაცია. ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ფარგლებში, წელს დაიწყება თაგინურის ცენტრის კეთილმოწყობა, მერიაყელის მთაში წყლის გამანაწილებელი რეზერვუარი გაკეთდება. მსგავსი შეხვედრები საზაფხულო საძოვრებზე ეტაპობრივად გაგრძელდება, - გვითხრა ომარ ტაკიძემ.

# სამუშაოები დაიწყო

35-40 წლის წინ მოსახლეობა თაგინურზე სოფელ ნაგომარის გავლით მიდიოდა - ხაბელაშვილები-თავზარას მონაკვეთზე საცალფეხო ბილიკი იყო. გასული საუკუნის 80-იან წლებში ახალი გზა გაკეთდა, რამაც მანძილი საკმაოდ შეამცირა. თაგინურზე (გომის მთა) მისასვლელად ახლა 30 კილომეტრის გავლაა საჭირო. გზის რეაბილიტაცია აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უკვე დაიწყო. სამუშაოები ეტაპობრივად შესრულდება, დაიგება ბეტონის საფარი.

აღნიშნული გზა სამეურნეო-ტურისტული მნიშვნელობისაა და გურიისა და აჭარის რეგიონების მოსახლეობა, ტურისტები კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას შეძლებენ.

მიმდინარე სამუშაოებს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე როლანდ ბოლქვაძე გაეცნო.

**გვერდი მოამზადა**
**ოთარ ცინარიძე**

# განცხადება

**საკონსულტაციო მომსახურების თანმდევი ზომები** | **ბოლო ვადა: 2 სექტემბერი, 2022 წელი 14:00 (საქართველოს დრო)**

საქართველო
**BMZ No: 2021 68 763** და **2021 70 306**
**KfW** - შესყიდვის ნომერი: **508503**

პროექტის თანმდევი ზომების საკონსულტაციო მომსახურების წინასაკვალიფიკაციო ეტაპი

წყლის კომუნალური ინფრასტრუქტურა - ფაზა V

**სატენდერო სააგენტო:**
თვითმმართველი ქალაქი ბათუმი
ლუკა ასათიანის ქ. №25
6010 ბათუმი, საქართველო

**ტენდერის აგენტი:**
ბატონი შტეფან მეშკე
ამ კრანენ 6
96049 ბამბერგი, გერმანია
ელფოსტა: s.meschke@eng-ms.de

**პროგრამული ღონისძიებები:**
პროექტის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი საინვესტიციო ღონისძიებები:
* ადლიის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის განახლება;
* ჩაქვისწყლის გამწმენდი ნაგებობის რეკონსტრუქცია;
* საკანალიზაციო სისტემის გაფართოება;
* წყალმომარაგების სისტემის გაფართოება.

**საჭირო საკონსულტაციო მომსახურება:**
თვითმმართველი ქალაქი ბათუმი ითხოვს კვალიფიციური კონსულტანტის ჩართვას თანმდევი ზომების მხარდაჭერის მიზნით:

* დაინტერესებულ მხარეთა საერთო კოორდინაცია;
* პასის დახმარება საშტატო გეგმებისა და სამუშაო აღწერილობების შემუშავებაში, ტრენინგები შესყიდვების წესებსა და პროცედურებში, პასის სენსიბილიზაცია გარემოს დაცვის, სოციალური, ჯანრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების მიმართ;
* პასის როლის გაძლიერება საკუთარ ორგანიზაციულ სტრუქტურაში;
* მხარდაჭერა მართვასა და ადმინისტრაციულ ამოცანებში, როგორიცაა ბიზნესგეგმის განახლება, ორგანიზაციული სტრუქტურის აქტუალიზაცია და ადაპტირება და ა. შ.;
* მხარდაჭერა მენეჯერულ და ფინანსურ საკითხებში, განსაკუთრებით - ყოველწლიური სატარიფო გეგმების შემუშავებაში;
* დახმარება საექსპლუატაციო და ტექნიკურ საკითხებში, ახალი გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაციის კონცეფციების შემუშავებაში და ა. შ.;
* სხვა ზომები, რომლებიც ჩათვლილია საჭიროდ და ჯერ არ არის განსაზღვრული.

საჭირო იქნება მაღალკვალიფიციური საერთაშორისო ტექნიკური გამოცდილება ახლად დანერგილი წყალმომარაგებისა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობების ფუნქციონირების მხარდასაჭერად.

საკონსულტაციო მომსახურების დაწყება 2023 წლის იანვრიდან იგეგმება.

დავალების დაგეგმილი ხანგრძლივობაა 72 თვე.

კონსულტანტებს მოუწოდებენ საერთაშორისო და ადგილობრივი ფირმების ასოციაციების შექმნას. წამყვანი კონსულტანტი უნდა იყოს საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია.

ყველა საკონსულტაციო აქტივობა უნდა განხორციელდეს პასთან მჭიდრო თანამშრომლობით და სათანადოდ უნდა იყოს გათვალისწინებული პროგრამის მიზნები და KfW ბანკის შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებები.

გამოცდილი კონსულტანტების წინასაკვალიფიკაციო პროცედურა ხელმძღვანელობს KfW-ს „პარტნიორ ქვეყნებთან ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში საკონსულტაციო სერვისების, სამუშაოების, ნაგებობების, საქონლისა და არასაკონსულტაციო სერვისების სახელმძღვანელოს მითითებებით“, რომელიც ხელმისაწვდომია KfW-ის ინტერნეტ ვებგვერდზე (2021 წლის იანვარი):

https://www.kfw-entwicklungsbank.de/International-financing/KfW-Development-Bank/Publications-Videos/Publication-series/Guidelines-and-contracts/

გათვალისწინებულია მომსახურების მიწოდება საერთაშორისოდ მოქმედი საკონსულტაციო ფირმისთვის და სასურველია ადგილობრივ კონსულტანტებთან თანამშრომლობით, რომლებსაც აქვთ დიდი გამოცდილება შესაბამის სფეროებში; წამყვანი კონსულტანტის და ყველა ასოცირებული პარტნიორის წლიური ბრუნვა უნდა აჩვენებდეს კონსორციუმისთვის აუცილებელ საშუალო წლიურ ბრუნვას მინიმუმ **2,0 მილიონი** ევროს ოდენობით.

**დამატებითი ინფორმაცია:**
დამატებითი ინფორმაციის (ხელმისაწვდომია მხოლოდ ინგლისურ ენაზე) მიღება შესაძლებელია უფასოდ ტენდერის აგენტისგან ზემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მოთხოვნის გაგზავნის საფუძველზე. ის გაიგზავნება მხოლოდ ელექტრონულად (ელ. ფოსტით). არანაირი პასუხისმგებლობა არ იქნება დაკისრებული დაკარგვის ან დაგვიანებული მიწოდების შემთხვევაში.

# Announcement

**Consulting Services for Accompanying Measures** | **Deadline: Friday, 2nd of September, 2022 14:00 (Georgian Time)**

Georgia
**BMZ No.: 2021 68 763** and **2021 70 306**
**KfW** Procurement No.: **508503**

**Prequalification for Consulting Services for Project Accompanying Measures**

**Communal Water Infrastructure Batumi Phase V**

**Tendering Agency:**
Self-governing City of Batumi
Luka Asatiani Street No. 25
6010 Batumi, Georgia

**Tender Agent:**
Mr. Stefan Meschke
Am Kranen 6
96049 Bamberg, Germany
E-Mail: s.meschke@eng-ms.de

**Programme Measures:**
The following investment measures will be financed in the course of the project:
Upgrade of the WWTP Adlia;
Reconstruction of the WTP Chakvi;
Extension of the sewer system;
Extension of the water supply system.

**Requested Consultant Services:**
Self-governing City of Batumi is seeking to engage a qualified Consultant for support in Accompanying Measures:

Overall Stakeholder Coordination
Support of the PEA in the elaboration of staffing plans and job descriptions, trainings in procurement rules and procedures, sensitisation of the PEA concerning ESHS requirements; Strengthening the role of the PEA in its own organisational structure;
Support in management and administrative tasks, like updating of the business plan, actualisation and adapting the organisational structure, etc;
Support in managerial and financial matters, particularly in the development of annual tariff plans;
Support in operational and technical matters, elaboration of concepts for operation of new treatment plants, etc.;
Other measures deemed necessary and yet to be defined.

Highly qualified international technical expertise will be required for the support of operation of the newly implemented WWTP and WTP.

The start of consulting services is planned for January 2023.
The planned duration of the assignment is 72 months.
Consultants are encouraged to form associations of international and local firms. The lead consultant must be an international consultancy company.

All the consulting activities shall be carried out in close cooperation with the PEA and shall take due account of the programme aims and relevant KfW guidelines.

The prequalification procedure of experienced Consultants will follow the KfW "Guidelines for Consulting Services, Works, Plant, Goods and Non-Consulting Services in Financial Cooperation with Partner Countries", which are available on KfW's internet web-site (version January 2021):

https://www.kfw-entwicklungsbank.de/International-financing/KfW-Development-Bank/Publications- Videos/Publication-series/Guidelines-and-contracts/

It is foreseen to give the service to an internationally operating consulting firm, preferably in association with domestic consultants, which are highly experienced in the concerned fields with an annual turnover of the lead consultant and all associated partners showing the necessary annual average turnover for the consortium as a group of at least **EUR 2ю0 million.**

**Further Information:**

Further information (only available in English language) is available free of charge from the Tender Agent upon written request at the address given above. It will be sent electronically only (by e-mail). No liability will be accepted for loss or late delivery.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დირექტორი<br>მამუკა ბერიძე | გამომშვები რედაქტორი<br>ირმა შერვაშიძე<br>ლიტერატურული რედაქტორი<br>ეთერ ხომერიკი | რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.<br>(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.<br>რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. | გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»<br>პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»<br>მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3. | მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა<br>ტელ: 27-13-31<br>აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში<br>დასაბეჭდად ხელმოწერილია 27/07/22, 20 40 სთ. |

# საერთაშორისო ფესტივალზე
## „ჩვენ ყველანი თავისუფლებისთვის დავიბადეთ“

**მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97**



*„ბათუმის შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალის“ ფარგლებში კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა გაიმართა ხელოვნების ცენტრში, რომელიც საქართველოსა და ამერიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის 30 წლისთავს მიეძღვნა*

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს კულტურის ატაშე კრისტოფერ ანდერსონი, ამერიკის საელჩოს გრანტების მენეჯერი ანა ხარიბეგაშვილი, წარსადგენი წიგნის მთარგმნელი, გამომცემლობა „ინტელექტის“ საერთაშორისო პროექტების ხელმძღვანელი გვანცა ჯობავა, მწერალი, საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის მიმომხილველი მაკა ლდოკონენი, ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სკოლის მოსწავლეები და მათი პედაგოგი, სკოლის პრორექტორი პირიმზე რურუა.

მოეწყო ახლახან გამოცემული საინტერესო წიგნის - „ჩვენ ყველანი თავისუფლებისთვის დავიბადეთ“ წარდგენა, რომელიც გვანცა ჯობავამ თარგმნა.

ფესტივალის დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი ელისო ბოლქვაძე მიესალმა შეკრებილთ და აღნიშნა, რომ ბათუმის მეცხრე ფესტივალი წელს გამრავალფეროვნდა, მას ახალი ფორმატი დაემატა, თუნდაც ის, რომ წარადგინეს წიგნი, რომელიც ისეთ მნიშვნელოვან თემებს ეძღვნება, როგორიც ადამიანის უფლებები და თავისუფლებებია.

- ჩვენ იმ დროში ვცხოვრობთ, როცა ხელოვნება, მუსიკა თავისუფლად შეიძლება იყოს ადამიანების, ქვეყნების გამაერთიანებელი ძალა. ორი წლის წინ, სწორედ ამერიკის საელჩოს ინიციატივით მივიღეთ გრანტი, რაც არა მხოლოდ ფინანსურ დახმარებას ნიშნავდა, არამედ ეს იყო საქართველოსა და ამერიკის კულტურული ცხოვრების შემაერთებელი ერთ-ერთი ხიდი. ამის შემდეგ ფესტივალზე ჩამოვიდა ცნობილი დირიჟორი და ეს იყო ძალიან დიდი ზეიმი. ამიტომ ვუსვამ ხაზს, რომ მუსიკით, ფესტივალებით ადამიანები ერთიანდებიან სიკეთის ირგვლივ, - თქვა ქალბატონმა ელისომ.

ბატონმა კრისტოფერ ანდერსონმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა მიმდინარე ფესტივალზე და აღნიშნა, რომ ასეთ რთულ დროს შავი ზღვის რეგიონში ასეთი ფესტივალის ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანია, ხაზი გაუსვა ამერიკის საელჩოს თანამშრომლობას ჩვენს ქვეყანასთან განათლებისა და კულტურის სფეროში.

- რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტს აღვნიშნავთ - ესაა ამერიკისა და საქართველოს ურთიერთობის 30 წლისთავი, მეორე კი ამ არაჩვეულებრივი წიგნის ქართული ვერსიის გამოცემა. წიგნის თარგმნის პროგრამა, რომელსაც ვკურატორობ, არის ამერიკის საელჩოს გრანტების პროგრამა, რომელიც თავისი შინაარსით უნიკალურია. თითოეული გრანტის განხორციელების ბოლოს ვღებულობთ ქართულად ნათარგმნ წიგნებს. 2008 წლიდან 162 პროექტია დაფინანსებული საქართველოში, როგორც უნივერსიტეტებში, ისე ლიტერატურის სფეროში. დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენს ძალიან დიდი ხნის და საიმედო პარტნიორს, გამომცემლობა „ინტელექტს“, რომელთან ერთადაც არაერთი კარგი პროექტი განვახორციელეთ, - გვითხრა ანა ხარიბეგაშვილმა.

- ჩვენ სულ ვამბობთ, რომ ამ წიგნის მკითხველს ასაკი არ აქვს. ის ყველასთვისაა, ვისაც აინტერესებს თავისუფლების თემა, მოწადინებულია იცოდეს თავისი უფლებები. გვიხარია, რომ დღეს შეხვედრაზე სკოლის მოსწავლეები მოვიდნენ, რადგან, ძირითადად, სწორედ მათთვის არის ეს წიგნი განკუთვნილი. რაც შეეხება თავად წიგნს, ეს არის საბავშვო ფორმატში გამოცემული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ილუსტრირებული. მნიშვნელოვანია, რომ ასეთ ლამაზ ფორმატში გამოიცა. ეს არის პირველი ზიარება იმასთან, რომ, ზოგადად, არსებობს ადამიანის უფლებები. თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ ჩვენ მხოლოდ საკუთარი უფლებების დაცვაზე ვიყოთ მიმართული, ჩვენ სხვების უფლებებიც უნდა დავიცვათ. ამ ყველაფერში არა მხოლოდ მშობელი, არამედ სკოლაც უნდა ეხმარებოდეს ბავშვს. ამ მხრივ ბევრი რამაა გამოსასწორებელი. რაც შეეხება დღევანდელ შეხვედრას, ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის, როგორც წიგნის მთარგმნელისა და გამომცემლისთვის. იმ აუდიტორიასთან მქონდა შეხვედრა, ვისთვისაც არის განკუთვნილი, - აღნიშნა გვანცა ჯობავამ.



- ახალგაზრდებს და, განსაკუთრებით, წიგნიერებს, ბევრი რამის შეცვლა შეუძლიათ მსოფლიოში. წიგნის საჯაროდ კითხვის მთავარი დევიზი გახლავთ „შეცვალე სამყარო“ და მინდა იცოდეთ, რომ ეს დღე საქართველოში დააწესა სწორედ გვანცა ჯობავამ. ის პირველად გამოჩნდა მსოფლიოში ცნობილი, ძალიან საინტერესო პროექტით - „ხუთი ბავშვი, ხუთი ქალაქი“ და დაწერა - „ხუთი ბავშვი, ხუთი თბილისი“. შემდეგ დაიწყო ზღაპრების წერა. მერე შექმნა კლასგარეშე საკითხავი წიგნების არაჩვეულებრივი სერია. მასში არის შესანიშნავი პედაგოგის თამარ გეგეშიძის ავტორობით შესული წიგნი (სხვათა შორის, ის ბათუმელია). აღიარებულია, რომ საუკეთესო წიგნებს ბავშვებისთვის სწორედ პედაგოგები წერენ, - აღნიშნა მწერალმა, მხატვარ-ილუსტრატორმა, საბავშვო ლიტერატურის მიმომხილველმა მაკა ლდოკონენმა.

პირიმზე რურუამ მადლობა გადაუხადა შეხვედრის ორგანიზატორებსა და სტუმრებს საინტერესო ღონისძიებისთვის, იმისთვის, რომ მოზარდებს საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა მიეცათ.

- წიგნი წაკითხული მაქვს, ძალიან მომწონს ილუსტრაციები, რომელიც თითოეულ მუხლს თან ახლავს. ამით ბავშვს უფრო ამახსოვრდება იგი. საერთოდ, ასეთ შეხვედრებზე ყოველთვის ბევრს ვიგებთ, - გვითხრა ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე თამარ ჩანჩიბაძემ, რომელმაც სტუმრებისგან საჩუქრად წიგნიც დაიმსახურა.

* * *

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს კულტურის ატაშე კრისტოფერ ანდერსონს და საელჩოს გრანტების მენეჯერ ანა ხარიბეგაშვილს უმასპინძლა. ვიზიტისას მინისტრმა სტუმრებს უწყების პრიორიტეტული სფეროები გააცნო.

თავის მხრივ, საელჩოს წარმომადგენლებმა მინისტრს ამერიკის საელჩოს საგრანტო შესაძლებლობები: კულტურის, ელჩის პროგრამის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, საგანმანათლებლო და პროფესიული გაცვლითი პროგრამები გააცნეს.

მინისტრი და საელჩოს წარმომადგენლები სამომავლოდ უფრო მჭიდრო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

# კონდიტერი, რომელმაც მე-5 კლასში პირველი საქორწილო ტორტი გამოაცხო

მე-5 გვერდიდან

გურანდა ხინიკაძეს სხვა ქალაქში ცხოვრებაზე არასდროს უფიქრია. ამბობს, რომ ბათუმი მისთვის მთელი სამყაროა.

- ბათუმის გარეშე ვერ წარმომიდგენია ცხოვრება. მქონდა ძალიან ბევრი შემოთავაზება, მაგრამ ყოველთვის უარს ვამბობდი. სამი თვის წინათ ლოპოტაზე მითხრეს სამსახურის დაწყება, ძალიან კარგი ანაზღაურებით და პირობებით, მაგრამ უარი განვაცხადე. ჩემს ბათუმს განსაკუთრებული ხიბლი და სურნელი აქვს, მისი ზღვის სურნელი, რასაც კონდიტერიაში ვანილს შევადარებ - ყველგან იგრძნობ მის არომატს. თეთრია, ქათქათა და ყველაფერს უხდება. ჩემი ყოველი დილა პოზიტიურად, ბათუმური ყავით იწყება. ამ ქალაქთან განშორება მიჭირს, ამიტომ არცერთ კონკურსში არ მიმიღია მონაწილეობა. მქონდა „სამზარეულოს ომებიდან“ შემოთავაზება, მაგრამ შვილების და ოჯახის გამო უარი განვაცხადე, - ამბობს ქალბატონი გურანდა.

გურანდა ხინიკაძეს ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. როგორც გვითხრა, გოგოს ძალიან დახვეწილი ხელი აქვს, მაგრამ არ უნდა, მის პროფესიას გაჰყვეს. თურმე, პატარაობაში ცდილობდა, მარტო არ დაეტოვებინა. ღამის პირველ-ორ საათამდე ქალიშვილი დედას ყვავილების გაკეთებაში ეხმარებოდა. ახლა ცდილობს, არ დაიხმაროს, სურს, შვილი სხვა პროფესიას დაეუფლოს. რომ არა კონდიტერი, როგორც ჩვენი რესპონდენტი ამბობს, ექიმი გამოვიდოდა. ეს მისი ოცნება იყო. დღემდე სწავლობს ხალხურ მედიცინას. შვილებსაც, ხშირ შემთხვევაში, საკუთარი ძალებით კურნავს. ცხოვრობს თავის „მოუცლელ“ სამყაროში და თავისუფალ დროს ოჯახს უთმობს.

- ჩემი სამყარო ხშირად ფერადია. გაბრაზება ვიცი 5-წუთიანი, შემდეგ ყველაფერი მავიწყდება. მთავარია, იმწუთს ვთქვა სათქმელი. ტორტთან არასდროს მიჩხუბია (იცინის), რადგან არ მქონია მომენტი, რამე ჩამეფიქრებინოს და არ გამოსულიყო. ჩემი მთავარი ღირსება სამართლიანობა და პასუხისმგებლობის გრძნობაა, რასაც ადამიანს დავპირდები, მაქსიმალურად ვცდილობ, გავუკეთო. ძალიან მინდა წიგნის გამოცემაც, ვაგროვებ საკუთარ რეცეპტებს, ასევე, მალე იქნება „იუთუბზე“ ჩემი რეცეპტების ბლოგი. ამაზე უკვე ვმუშაობ. ვაპირებ, ასევე, პროფესიულ განვითარებას. ბოლო ორ წელიწადში განვვითარდი სხვა კუთხით - გემოზე მქონდა აქცენტი გადატანილი, შევიმუშავე და გადავლახე ყველა სირთულე. ახლა მინდა ვიზუალის მხრივ თანამედროვე ელემენტები დავხვეწო, - გვითხრა გურანდა ხინიკაძემ.



# მამარდა და ხვიჩა – 50 საუკეთესო ფეხბურთელს შორის

სპორტულ სტატისტიკასა და ანალიტიკაზე ორიენტირებულმა ვებგვერდმა Theanalyst.com-მა ტოპ 5 ლიგაში მოთამაშე 50 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებსაც თვალი უნდა ვადევნოთ. The Analyst-მა სტატისტიკური პლატფორმა Opta-ს საუკეთესო თანამშრომლები დაიქირავა და სია სწორედ მათ შეადგინეს. 50 რჩეულს შორის გიორგი მამარდაშვილი და ხვიჩა კვარაცხელია მოხვდნენ. გთავაზობთ მოკლე ამონარიდებს:

**გიორგი მამარდაშვილი**

„ვალენსიამ“ მამარდაშვილი შარშან „დინამო თბილისიდან“ იმ იმედით გადაიყვანა, რომ ქართველი მეკარე თავის კვალს შორეულ მომავალში მაინც დატოვებდა. გიორგი, რომელიც მაშინ 20 წლის იყო, 1-წლიანი იჯარით გაიფორმეს... გასული სეზონის შუაწელს „ვალენსიამ“ მამარდაშვილის კონტრაქტი გამოისყიდა და მომდევნო სეზონის დაწყებამდე აქტიურად ცდილობს, მასთან ხელშეკრულება გაახანგრძლივოს და მისი გამოსასყიდი თანხა 100 მილიონ ევრომდე გაზარდოს, რათა გიორგის მსურველები დააფრთხოს. მოვლენების ასეთი სწრაფი განვითარება ნიჭის, იღბლისა და შანსის დამსახურებაა, რომლებიც საჭირო დროს ერთად აღმოჩნდა... სეზონის შუაწელს განცდილი წარუმატებლობის მიუხედავად, თებერვლის შემდეგ მამარდაშვილი „ვალენსიის“ შეუცვლელ მოთამაშედ იქცა. 199 სანტიმეტრი სიმაღლის მეკარე მონსტრია და მისი გაბარიტები შემტევებს ცხოვრებას ურთულებს... მეკარეებს შორის, რომლებმაც ლა ლიგის გასულ სეზონში 900 წუთზე მეტი ითამაშეს, სეივების პროცენტების მხრივ მამარდაშვილზე (73,3%) უკეთესი შედეგი მხოლოდ იასინ ბუნუსა (76%) და ტიბო კურტუას (75.8%) აქვთ... თუ ბურთის განაწილებისა და პასების სიზუსტის მხრივ მან პროგრესს მიაღწია, „ვალენსია“ ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული გოლკიპერის მფლობელი კლუბი გახდება“.

**ხვიჩა კვარაცხელია**

„2022-23 წლების სეზონში ხვიჩა კვარაცხელიას რთული დავალება აქვს. 21 წლის გარემარბი არის ფეხბურთელი, რომელიც „ნაპოლიმ“ ლორენცო ინსინიეს შემცვლელად აირჩია, რომელიც ნეაპოლში დაიბადა, გაიზარდა და ადგილობრივების კერპი იყო... კვარაცხელიას მთავარი დამახასიათებელი ნიშანი მაღალ სიჩქარეზე დრიბლინგის განხორციელებისა და მეტოქის ჩამოტოვების უნარია. რუსეთის პრემიერლიგაში ჩატარებული სადებიუტო შეხვედრის შემდეგ, იგი მეურვეს დრიბლინგით 205-ჯერ გასცდა, რაც, სულ მცირე, 40-ით მეტია, ვიდრე მეორე პოზიციაზე მყოფი ფეხბურთელის მიერ დაფიქსირებული სტატისტიკა... ინსინიეს მსგავსად, იგი მარცხენა ფლანგიდან ცენტრისკენ ფანტასტიკურად იჭრება. რუსეთის პრემიერლიგის გასულ სეზონში 33 შემთხვევა იყო, როცა ხვიჩას სოლორეიდს დარტყმა ან თანაგუნდელისთვის შექმნილი მომენტი მოჰყვა... თუ სერია A-ს ახალ სეზონში ქართველ ფეხბურთელს სათამაშო დრო მიეცა, „ნაპოლის“ არსენალში შესაძლოა, საიდუმლო იარაღი აღმოჩნდეს“, - წერია სტატიაში.

**ამირან ბურიელიძე**